პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

26 ნოემბერი ოთხშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი ● № 275 (14575)

გუშინ, 25 ნოემბერს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობა დაიწყო კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობამ

მოსკოვი, 25 ნოემბერი. კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობის პრეზიდიუმში.

(მიღებულია საქსის ფოტოტელეგრაფით).

კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყ რ ი ლ ო ბ ა ს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მზურვალედ მიესალმებიან კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატებს და მათი სახით მთელ კოლმეურნე გლეხობას, სოფლის მშრომელთა — კომუნიზმის აქტიურ მშენებელთა მრავალმილიონიან არმიას.

კოლმეურნეთა ყრილობა დიდი მოვლენაა კოლმეურნე გლეხობის, მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. იგი მიმდინარეობს ღირსშესანიშნავი თარიღისათვის — მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის, მხოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების დღეებში.

დიდი ლენინი სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის სათავეებთან იდგა. ლენინის კოოპერაციულმა გეგმამ განსაზღვრა გენერალური კურსი, რომლითაც კომუნისტურმა პარტიამ წაიყვანა გლეხთა მასები ახალი ცხოვრებისაკენ. ჩვენს ქვეყანაში საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებით ისტორიაში პირველად დამკვიდრდა სოფლად ახალი წარმოებითი ურთიერთობა, შეიქმნა და განმტკიცდა სოფლის მეურნეობის სოციალისტური სისტემა.

საკოლმეურნეო წყობილებამ გაუძლო დროით გამოცდას. ხალხის მეხსიერებაში არასოდეს არ წაიშლება მილიონობით კოლმეურნის უმაგალითო გმირობა ბრძოლისა და შრომის ფრონტზე დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში. მთელ ჩვენს ხალხთან ერთად მათ დაიცვეს სოციალიზმის მონაპოვარნი, მოკლე ვადაში მოიშუშეს ომით მიყენებული მძიმე ჭრილობები და ბევრად გადააჭარბეს წარმოების ომამდელ დონეს.

თანამედროვე კოლმეურნეობები — ეს არის მსხვილი მექანიზებული, ეკონომიურად ღონიერი, მაღალსაქონლური მეურნეობანი. კოლმეურნეობებს უდიდესი როლი ეკუთვნით მოსახლეობის სურსათ-სანოვაგითა და მრეწველობის ნედლეულით მომარაგებაში.

საკოლმეურნეო მშენებლობის წარმატებანი შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ პარტია მუდამ ასრულებდა ვ. ი. ლენინის ანდერძს. საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის ყველა ეტაპზე პარტია თვალსაჩინოვით უფრთხილდებოდა, განამტკიცებდა მუშათა და გლეხთა კავშირს. მუშათა კლასი აქტიურად იბრძოდა სოციალიზმის განმტკიცებისათვის სოფლად, უდიდეს დახმარებას უწევდა და უწევს საკოლმეურნეო წყობილების განვითარებასა და განმტკიცებას. მძლავრი სოციალისტური მრეწველობის შექმნამ საშუალება მოგვცა განგვემტკიცებინა და ძირეულად გარდაგვქმნა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დღეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში მუშაობს ორ მილიონ-ნახევარ ტრაქტორი, ასეულათასობით მარცვალსალაღები კომბაინი, ხუთეულობა ავტომობილი და ბევრი სხვა მანქანა.

კოლმეურნეობებში აღიზარდნენ სპეციალისტთა, მექანიზატორთა, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ოსტატთა კვალიფიციური კადრები. მათ შორის ღირსეული ადგილი სამართლიანად უჭირავთ კოლმეურნე ქალებს. პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი დიდი პატივისცემით ეკიდებიან გლეხის შრომას, დიდად აფასებენ მას.

სოფლის საწარმოო ძალების ზრდამ, კოლმეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცებამ უზრუნველყო კოლმეურნე გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის, კულტურის აღმავლობა, ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება. ბევრად გაიზარდა კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი. ისინი ახლა იღებენ შრომის გარანტირებულ ანაზღაურებას, უზრუნველყოფილი არიან პენსიებით და სხვა დახმარებით.

სოფლებში გაიშალა ფართო საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა, მთავრდება ელექტრიფიკაცია და რადიოფიკაცია, სწრაფად ვრცელდება ტელევიზია. ნაყოფიერად მუშაობს სოფლის ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი რაზმი. სულ უფრო ძლიერდება კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის.

როგორც ვ. ი. ლენინი ითვალისწინებდა, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე დაფუძნებულმა კოლექტიურ მეურნეობაში შრომამ სულიერი სახე შეუცვალა გლეხობას. მისთვის დამახასიათებელია კოლექტივიზმი, საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი გრძნობა, დიადი ლენინური იდეალებისადმი ერთგულება, მაღალი შრომიერი და პოლიტიკური აქტივობა. კოლმეურნეობა კომუნიზმის ნამდვილი სკოლა გახდა გლეხობისათვის.

კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა შეიკრიბა, რათა მიიღოს კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდება. ამ დოკუმენტის მიღება იქნება დიდმნიშვნელოვანი ისტორიული აქტი, რომელიც მოასწავებს ახალ ეტაპს საკოლმეურნეო წყობილებისა და საკოლმეურნეო დემოკრატიის განვითარებაში. ახალი წესდება ხელს შეუწყობს პარტიის XXIII ყრილობის მიერ სოფლის მშრომელთა წინაშე დასახული მთავარი ამოცანის გადაჭრას — უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალი მყარი ტემპები და ამის მეოხებით მიაღწიონ ხალხის ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებას.

დასახული ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის პარტიამ და მთავრობამ შეიმუშავეს და მტკიცედ ახორციელებენ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმზე შემუშავებულ იქნა და ხორციელდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის დაგეგმვის, ეკონომიური სტიმულირების პრინციპულად ახალი სისტემა, რომელიც ამავე დროს ითვალისწინებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოებას.

ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა სოფლის მეურნეობის ტექნიკური ხელახალი შეიარაღების ამოცანა. იგი ხორციელდება სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყველა ძირითადი მიმართულებით: კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყველა დარგის კომპლექსური მექანიზაციისა და ქიმიზაციის, მიწების ფართო მელიორაციის ზაზით.

სახელმწიფო სულ უფრო და უფრო მეტ ტრაქტორს, კომბაინს, ავტომობილს, მინერალურ სასუქებს აწვდის სოფლის მეურნეობას, ზრდის კაპიტალდაბანდებებს სამელიორაციო მშენებლობაში, სოფლის მეურნეობას უქმნის მძლავრ თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მოუწოდებენ კოლმეურნეებს, სოფლის ყველა მშრომელთ უფრო სრულად, მაქსიმალური სარგებლობით გამოიყენონ ახალი შესაძლებლობანი და უდიდესი რეზერვები, რომლებსაც საკოლმეურნეო წყობილების წაალი შეიცავს. სოფლის მშრომელთა უპირველესი მოვალეობაა უმკაცრესი წესრიგი დაამყარონ მიწათსარგებლობაში, უზრუნველყონ ტექნიკის, სარწყავი და ამორობილი მიწების სწორი ექსპლოატაცია, მიაღწიონ მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების უფრო ეფექტიანად გამოყენებას, ბეჯითად იბრძოლონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის გეგმები.

სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების უმნიშვნელოვანესი პირობაა ადამიანთა მაღალი კვალიფიკაცია, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ცოდნა, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა, კოლმეურნეთა შეგნებული დისციპლინა, მათი აქტიური ბრძოლა მომგირრნეობისა და ყაირათიანობისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და სუფთა-დოგბრივი მეურნეობის ყველა დარგის რენტაბელობის ამაღლებისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო! ამ ღირსშესანიშნავ დღეებში სოფლის მილიონობით მშრომელს, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, მაღლა უჭირავს ლენინის იუბილეს აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების დროშა. ეჭვი არ არის, რომ კოლმეურნე გლეხობა ღირსეულად შეეგებება ამ ისტორიულ თარიღს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის მუშაობა, მის მიერ კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდებისა და სხვა გადაწყვეტილებათა მიღება დიდ გავლენას მოახდენს საკოლმეურნეო წყობილებისა და მეურნეობის მთელი სოციალისტური სისტემის შემდგომ განვითარებაზე.

ნაყოფიერ მუშაობას გისურვებთ, ამხანაგო ყრილობის დელეგატებო!

გაუმარჯოს სახელოვან კოლმეურნე გლეხობას — დიად შემოქმედებითს ძალას ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში!

გაუმარჯოს და განმტკიცდეს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი — საბჭოთა წყობილების ურყევი საფუძველი!

ლენინის მიერ ნაჩვენები გზით წინ კომუნიზმის ახალი გამარჯვებისაკენ!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საინფორმაციო ცნობა

1969 წლის 25 ნოემბერს, დილის 10 საათზე, მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობა დაიწყო კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობამ.

ყრილობა გახსნა საკოლმეურნეო მოძრაობის ერთ-ერთმა უხუცესმა მოდვაწემ კურგანის ოლქის კოლმეურნეობა „ზავეტი ლენინასა“ მემინდვრემ სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. ტ. ს. მალცევმა. მან აღნიშნა, რომ 4.541 არჩეული დელეგატიდან ყრილობაზე ჩამოვიდა 4.521 დელეგატი.

მოსკოვის ოლქის გორკის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის, სოციალისტური შრომის გმირის ამხ. ვ. ფ. ისაევის წინადადებით ყრილობამ აირჩია პრეზიდიუმი 96 კაცის შემადგენლობით. ამხ. ისაევმა შეიტანა წინადადება გადამწყვეტი ხმის უფლება მიენიჭოს კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების პროექტის მოსამზადებელი კომისიის წევრებს. ეს წინადადება ერთხმად მიიღეს.

დილის სხდომას თავმჯდომარეობდა ამხ. ა. ნ. კოსიგინი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. მან აცნობა ყრილობას, რომ ყრილობაზე სტუმრად ჩამოვიდნენ დელეგაციები საზღვარგარეთის ქვეყნებიდან: ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკიდან ამხ. სტოიან სიუსემეზოვის მეთაურობით; უნგრეთის სახალხო რესპუბლიკიდან ამხ. ბაბორ შოშის მეთაურობით; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ამხ. გეორგ ეგალდის მეთაურობით; კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკიდან ამხ. კიმ მან ბიმის მეთაურობით; კუბის რესპუბლიკიდან ამხ. ხოსე ჰრესისის მეთაურობით; მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკიდან ამხ. ლოდონგიინ რინჩინის მეთაურობით; პოლონეთის სახალხო რესპუბლიკიდან ამხ. მეჩისლავ იაგელსკის მეთაურობით; რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკიდან ამხ. ვასილე ვილკუს მეთაურობით; ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკიდან ამხ. კოლომან ბოლიას მეთაურობით; იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკიდან ამხ. ლუკა პეტროვიჩის მეთაურობით; გვინეის რესპუბლიკიდან სეკ შარის მეთაურობით; ერაყის რესპუბლიკიდან აშიფ-არრაშის მეთაურობით; არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკიდან ნასერ ალ-ჯოსეინის მეთაურობით; სირიის არაბთა რესპუბლიკიდან მუჰამედ საიდ თალების მეთაურობით; სუდანის რესპუბლიკიდან აბდელ-ელ-დირდირის მეთაურობით; იტალიიდან ამხ. ჯერარდო პიარომონტეს მეთაურობით; ფინეთიდან პიაინი რანკილას მეთაურობით; საფრანგეთიდან რაიმონ მინოს მეთაურობით.

ყრილობის დელეგატთა სახელით ამხ. კოსიგინი გულითადად მიესალმა საზღვარგარეთის დელეგაციებს, მადლობა უძღვნა მათ ყურადღებისათვის, რომელიც კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო ყრილობისადმი გამოიჩინეს.

ყრილობამ აირჩია სამდივნო, სარედაქციო და სამანდატო კომისიები და დაამტკიცა დღის წესრიგი.

ყრილობის დღის წესრიგშია „კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდება“.

ყრილობაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელსაც მჭუხარე ტაშით შეხვდნენ. ამხ. ბრეჟნევმა წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება ყრილობისადმი.

მოხსენება კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების შესახებ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხ. დ. ს. პოლიანსკიმ.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა ამხ. ა. ვ. ბორშკოვი, ვლადიმირის ოლქის გუს-ხრუსტალნის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“ თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

ყრილობა შეუდგა კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების შესახებ მოხსენების განხილვას.

კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ი. მ. სემიონოვი — ტულის ოლქის კოლმეურნეობა „ნოვაია ჟიზნის“ თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, ა. ბ. ბუზნიცკი — კიევის ოლქის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, ლ. ი. ოსიუკი — ბრესტის ოლქის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი, სოციალისტური შრომის გმირი, მ. ი. კლეკინკოვი — კრასნოდარის მხარის კოლმეურნეობა „აუბანის“ ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, ნ. იულდაშევი — სირდარიის ოლქის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, ჰ. კაპუშევი — აღმოსავლეთ ყაზახეთის ოლქის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ყრილობას მიესალმა მოსკოვის მრეწველობის მუშათა დელეგაცია, რომელსაც მხურვალედ შეხვდნენ დელეგატები და სტუმრები. ყრილობას გულითადი სიტყვებით მიესალმა მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის მჭედელი, კომუნისტური შრომის დამკვრელი ამხ. ბ. ნ. მალინი.

შემდეგ მოხსენების გამო გაგრძელდა კამათი. გამოვიდა ამხ. შ. მ. ეცაღაშვილი — საქართველოს სსრ სოფელ ფლავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

□ □ □ □

კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყ რ ი ლ ო ბ ი ს პ რ ე ზ ი დ ი უ მ ი

1. ბრეჟნევი ლ. ი.
2. ვორონოვი ბ. ი.
3. კირილენკო ა. პ.
4. კოსიგინი ა. ნ.
5. მაზუროვი კ. ტ.
6. პელშე ა. ი.
7. პოდგორნი ნ. ვ.
8. პოლიანსკი დ. ს.
9. სუსლოვი მ. ა.
10. შელეპინი ა. ნ.
11. შელესტი კ. ე.
12. ავაგიანი რ. ვ.
13. ალიევი გ. ა.
14. ანდროპოვი ი. ვ.
15. არეტაგინი გ. ა.
16. ახუნოვა ტ.
17. ბადიონი ო. ლ.
18. ბოდიული ი. ი.
19. ბოდნარი ა. ი.
20. ბულავინი ე. მ.
21. ბულატი ი. მ.
22. ბარმაში დ. მ.
23. ბეიორგიევი ა. ვ.
24. ბიტალოვი ა. ვ.
25. ბორშკოვი ა. ვ.
26. ბორიაჩევი ფ. ს.
27. ბრინი ი. პ.
28. ბრიუშინი ვ. ვ.
29. დემიჩევი პ. ნ.
30. დემიჩენკო მ. ს.
31. ერსარიევი ო.
32. ვიშტაკი ს. დ.
33. ვოსი ა. ე.
34. ზარუბინი ვ. ა.
35. ზოლოტუხინი ბ. ს.
36. იასნოვი მ. ა.
37. ივანიუტა ა. ლ.
38. იზდიყულოვა რ.
39. კაკუნი ვ. მ.
40. კალაჩიკი ვ. მ.
41. კაპიტონოვი ი. ვ.
42. კატუშევი კ. თ.
43. კაულინში ე. მ.
44. კელდიში მ. ვ.
45. კლეპიკოვი მ. ი.
46. კოვალენკო ა. ვ.
47. კონოტოპი ვ. ი.
48. კრასნიკოვი ი. ბ.
49. კულაკოვი თ. დ.
50. კუნაევი დ. ა.
51. კეგბინი ი. ბ.
52. ლევენეცი მ. ი.
53. ლოგანოვი პ. პ.
54. ლოგოვი ა. ფ.
55. მადამინოვი რ.
56. მალინინა პ. ა.
57. მალცევი ტ. ს.
58. მარკინა ლ. ი.
59. მატვეიჩუკი ი. ე.
60. მაცკევიჩი ვ. ვ.
61. მაშეროვი პ. მ.
62. მშავანაძე ვ. პ.
63. მოგილჩენკო ბ. ს.
64. ნაზაროვი ხ.
65. ნიზოვსკიხი ე. კ.
66. ნიკიტინი ვ. ა.
67. ნილოვა ე. ი.
68. ოვეზოვი ბ.
69. პონომარიოვი ბ. ხ.
70. პოსმიტნი მ. ა.
71. პულნიკოვა ს. ს.
72. რასულოვი დ.
73. რაშიდოვი შ. რ.
74. სავჩენკო მ. ხ.
75. სიზოვი ბ. ფ.
76. სნეჩკუსი ა. ი.
77. სოლომენცევი მ. ს.
78. სტუპნიკოვი მ. მ.
79. ტაბეევი ფ. ა.
80. ტიმაშოვა მ. ფ.
81. ტიხომიროვა ლ. ა.
82. ტეე ე. ი.
83. ტიაჟელნიკოვი ე. მ.
84. უსოვი პ. მ.
85. უსტინოვი დ. თ.
86. უსუბალიევი ტ.
87. ფორმანიუკი ა. მ.
88. ქოჩინიანი ა. ე.
89. ყურბანოვი ა. ა.
90. ყუფუნია თ. ა.
91. შაკიროვი მ. ზ.
92. შოლოხოვი მ. ა.
93. შოკოკოვა კ.
94. შიაულენე მ. ვ.
95. შჩერბიცკი ვ. ვ.
96. ჩერნიკოვი ბ. ტ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღგენს:

მოწვეულ იქნას საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია 1969 წლის 25 დეკემბერს, ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1969 წ. 25 ნოემბერი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ გულითადად მოგილოცოთ კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის გახსნა და გისურვოთ წარმატებანი მის მუშაობაში. საბჭოთა კავშირის კოლმეურნე გლეხობის ყრილობა დიდი პოლიტიკური მოვლენაა ჩვენი ქვეყნის, მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში; იგი უეჭველად შეასრულებს დიდ როლს საკოლმეურნეო წყობილების შემდგომ განვითარებაში, კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში.

ყრილობის დელეგატთა შემადგენლობა კოლექტივიზაციის, სოფლად სოციალიზმის დაბადებისა და გამარჯვების ცოცხალი ისტორიაა.

აქ ჩვენ ვხედავთ საკოლმეურნეო მოძრაობის ვეტერანებს, იმათ, ვინც ძალღონეს არ იშურებდა, უდიდეს სიძნელეებს ძლევდა და გლეხებს რაზმავდა ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის. პარტია და საბჭოთა ხალხი დიდად აფასებენ მათს მამაცობას, მათს ერთგულებას ლენინის ანდერძისადმი, რომელიც გამოატარეს ბრძოლებისა და განსაცდელის მთელი წლების მანძილზე.

ამ დარბაზში არიან კოლმეურნე გლეხობის საშუალო თაობის წარმომადგენლებიც. ვეტერანებთან ერთად მათ გადაიტანეს დიდი სამამულო ომისა და ომის შედეგად დანგრეული მეურნეობის აღდგენის მკაცრი წლების მთელი სიმძიმე.

გულითადად მივესალმებით კოლმეურნე ქალებს, რომელთა შრომითი გმირობა, განსაკუთრებით ფაშიზმის წინააღმდეგ ომის წლებში, უდიდესი წვლილი იყო მტერზე ჩვენს საერთო გამარჯვებაში.

ყრილობის დელეგატთა შორის არიან წარმომადგენლები კოლმეურნე გლეხობის ახალგაზრდა გვარდიისა, ჩვენ მას ვუკავშირებთ ჩვენი სოციალისტური სოფლის მომავალს. მტკიცედ გვწამს, რომ კოლმეურნე ახალგაზრდობა, რომელიც განაგრძობს უთოროს თაობათა საქმეს და ამრავლებს მათს გამოცდილებას, სწორად გამოიყენებს თავის ცოდნას, თავის შემოქმედებითს შემართებას კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ყრილობის დელეგატთა შემადგენლობა ასახავს ლენინის პარტიის ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვარს — ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხთა ძმურ და ურღვევ მეგობრობას. ამ ყრილობაზე წარმოდგენილია ჩვენი სამშობლოს ყველა ეროვნება.

გულითადად მივესალმებით ძვირფას სტუმრებს — სოციალისტური სახელმწიფოებისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების მშრომელი გლეხობის — ჩვენი კლასობრივი და საბრძოლო ძმების წარმომადგენლებს.

კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობა საბჭოთა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. ღირსშესანიშნავია, რომ იმ დიდ მსჯელობაში, რომელიც გაიშალა წესდების პროექტისა და კოლმეურნეობათა ცხოვრების სხვა საკითხებზე, მონაწილეობდა **ყველა საბჭოთა ადამიანი** — კოლმეურნეებიც, მუშებიც, ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენციაც, მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი.

კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ კრებებზე, საოლქო და სამხარეო კონფერენციებსა და რესპუბლიკურ ყრილობებზე კოლმეურნეებმა ერთსულოვნად მოიწონეს პარტიის პოლიტიკა, რომელიც შეიმუშავეს XXIII ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა. მათ მიიჩნიეთ, რომ პარტიის პოლიტიკა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღმავლობის მთავარი პირობაა.

კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობა შეიკრიბა ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა და მთელი პროგრესული კაცობრიობა ემზადებიან დიდი ბელადისა და მასწავლებლის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის.

არავის ისე ღრმად არ ესმოდა მშრომელი გლეხობის ინტერესები და მისწრაფებანი, როგორც ვ. ი. ლენინს; გლეხობა მას მიაჩნდა მუშათა კლასის საიმედო მოკავშირედ კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

ლენინური იდეებისადმი ერთგულმა საბჭოების ქვეყნის მშრომელმა გლეხობამ მთელ მსოფლიოს უჩვენა, რომ იგი მუშათა კლასის მებრძოლი, მტკიცე მოკავშირეა. მუშების მხარდამხარ საბჭოთა გლეხობა გარდაქმნიდა ქვეყანას, განამტკიცებდა, იცავდა სოციალიზმს და ამჟამად აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას.

I.

ამხანაგებო! რამდენიმე ათეული წელი გვაშორებს იმ დაუვიწყარ წლებს, როცა ჩვენს ქვეყანაში კაცობრიობის ისტორიაში პირველად დავიწყეთ სოფლად ახალი, სოციალისტური წყობილების შექმნა. მაგრამ რამდენმა დრომ და მოვლენამაც უნდა გახვლოს, რამდენი თაობაც უნდა შეიცვალოს, ხალხის მეხსიერებაში არასოდეს არ წაიშლება სოფლის გარდაქმნისათვის აქტიური მებრძოლების — პირველი კომუნარების, სოფლის კომუნისტების, კომკავშირელების, მასწავლებლების, სოფლკორებისა და ქოხსამკითხველოების მუშაკების, ოცდახუთათასელი მუშების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა მუშაკების საქმეები.

ესენი იყვნენ დიადი ბრძოლის გმირები. ეს იყო სოციალიზმის მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგ ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატის მწვავე კლასობრივი ბრძოლის დრო.

კოლექტივიზაციის პროცესში პარტიამ დათრგუნა კულაკობისა და სხვა კლასობრივი მტრების გააფთრებული წინააღმდეგობა, შეუპოვარ ბრძოლას ეწოდა ტროცკისტებისა და მემარჯვენე ოპორტუნისტების წინააღმდეგ.

ახლა ყველაფერი ეს ისტორიას ეკუთვნის, ხოლო სოციალიზმის საქმემ შორს წაიწია წინ. ჩვენთან ერთად არიან მილიონობით ადამიანები, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე. და ჩვენ მადლობელი ვართ მათი მხარდაჭერისა და მეგობრობისათვის, ჩვენი მუშაობისა და გამოცდილებისადმი ყურადღებისათვის.

ჩვენ ამას ვამბობთ სუფთა გულით, მთელი გულწრფელობით. საბჭოთა ადამიანებმა თავიანთი სოციალისტური ისტორიის მანძილზე ნამდვილად შეიტყეს, რას ჰიმნავს საერთაშორისო კაპიტალთან ორთაბრძოლა, გაიარეს მეგობრობის, მხარში დგომის თასი, რითაც ყველაზე ძნელი გზა უფრო მსუბუქი და სწორი გეჩვენება.

სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის ბრძოლის ყველა ეტაპზე კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა ლენინური კოოპერაციული გეგმით.

ჩვენს პარტიას კარგად ჰქონდა წარმოდგენილი სიძნელენი კოლექტივიზაციის გზაზე და უწინარეს ყოვლისა, ისეთი სიძნელენი, როგორიც იყო ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა და გლეხის კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია. იგი ითვალისწინებდა აგრეთვე იმ პირობების სირთულეს, რომლებშიც იმყოფებოდა ჩვენი, მაშინ მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა პროლეტარიატის დიქტატურისა. კაპიტალისტური გარემოცვა, სამხედრო თავდასხმის მუდმივი საფრთხე მოითხოვდა სოციალისტური გარდაქმნების რაც შეიძლება უმოკლეს ვადებში განხორციელებას.

პარტიამ კოლექტივიზაციის გზა შემოხვევით, ბრმად როდი აირჩია. იგი იყო მეცნიერულად დასაბუთებული, ისტორიულად მომწიფებული. არ შეიძლებოდა მისი უგულებელყოფა ან გვერდის ავლა.

კოლექტივიზაციის წლები მუშებისა და გლეხებისათვის პოლიტიკური წრთობისა და კლასობრივი სიბრძნის ნამდვილი სკოლა გახდა. გლეხობა პრაქტიკულად დარწმუნდა, რომ მას შეუძლია თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების საუკუნოვან ოცნებას ხორცი შეასხას ძხოლოდ მუშათა კლასთან კავშირით. ლენინური პარტიის გარშემო მჭიდრო შეკავშირებით.

საკოლმეურნეო მშენებლობის პროცესში თავიდან ვერ ავიცილეთ ერთგვარი შეცდომები. მაგრამ ეს იყო ძიების შეცდომები. შეცდომები გამოცდილების უქონლობის გამო. პარტია თვითონ გაბედულად ამჟღავნებდა შეცდომებს, აშკარად ეუბნებოდა მათ შესახებ ხალხს და ასწორებდა ამ შეცდომებს. სამწუხაროდ, დღემდე კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც უყვართ გააზვიადონ ხარჯები დიდ რევოლუციურ საქმეში.

საკოლმეურნეო წყობილების შეფასებაში კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი ერთიანი არიან. საკოლმეურნეო წყობილება ჩვენი დიადი ისტორიული მონაპოვარია.



საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებაში თვალსაჩინო როლი ეკუთვნის მუშათა კლასს. იგი აძლევდა გლეხობას ტრაქტორებს, კომბაინებს, ავტომობილებსა და სხვა ტექნიკას. იგი იყო აქტიური მებრძოლიც კოლმეურნეობების შექმნისა და განმტკიცებისათვის. მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც პარტიამ გაგზავნა სოფლად, გლეხებთან ერთად ქმნიდნენ პირველ კოლმეურნეობებს. ბევრმა მათგანმა სიცოცხლე შესწირა საკოლმეურნეო მშენებლობას.

სოფლის სოციალისტურ გარდაქმნაში დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, ისინი უჩვენებდნენ მსხვილი მეურნეობის გაძღოლის მაგალითს. დღეს საბჭოთა მეურნეობებს მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ქვეყნის უზრუნველყოფაში.

საყოველთაო-სახალხო მაღლობის ღირსია ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის საქმიანობა. ათასობით სპეციალისტი — მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები, მიწათმომწყობნი, მექანიკოსები — წავიდა სამუშაოდ სოფელში და აქტიურად იბრძოდა იქ სოციალისტური ურთიერთობის დამკვიდრებისათვის.

შემოქმედებითი ინტელიგენცია თავისი ნაწარმოებებით დაეხმარა პარტიასა და ხალხს სოფლის სოციალისტური გარდაქმნის დიად საქმეში. გაიხსენეთ მიხეილ ალექსანდრეს-ძე შოლოხოვის „გატეხილი უღმირი“, თევდორე ივანეს-ძე პანფეროვის „ბრუსკი“, ვლადიმერ პეტრეს-ძე სტავსკის „ვაქანება“ და ბევრი სხვა ნაწარმოები.

სოციალისტური სოფლისა და მისი გმირების შესახებ ამ ბოლო წლებშიც დაიწერა ბევრი კარგი ნაწარმოები. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ლიტერატორები, აგრეთვე ხელოვნების მოღვაწეები შექმნიან ახალ, მკაფიო მასშტაბურ ნაწარმოებებს, რომლებიც ღრმად ასახავენ თანამედროვე სოციალისტურ სოფელში მომხდარ პროცესებს.

მუშათა კლასის, გლეხობისა და საბჭოთა ინტელიგენციის რევოლუციურმა თანამშრომლობამ უზრუნველყო სოციალიზმის გამარჯვება, სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და გლეხთა მთელი ცხოვრების ძირეული გარდაქმნა.

საკოლმეურნეო წყობილებამ გლეხობას მოუტანა ახალი ცხოვრება, რომელიც თავისუფალია ექსპლოატაციისაგან, სიღატაკისაგან, თავისი თავისათვის, ოჯახისათვის, მეურნეობისათვის მუდმივი შიშისაგან. უფროსი თაობის ადამიანებს ახსოვთ, რომ წარსულში გლეხი ჩაგრული, უწიგნური, უუფლებო და უმწეო იყო, მარტოდმარტო რჩებოდა ბუნების სტიქიური ძალებისა და ყოველგვარი გაჭირვების წინაშე.

კოლმეურნეობამ გლეხს თავიდან აიცილა მძიმე წარსული, მიუჩინა მტკიცე ადგილი ცხოვრებაში, თავისი ბედის ბატონ-პატრონი გახადა. **ეს კი, ამხანაგებო, დიადი საქმეა!**

ახალგაზრდა საკოლმეურნეო წყობილებისათვის მკაცრი გამოცდა იყო დიდი სამამულო ომი. ომის წლებში კოლმეურნე გლეხობამ დაამტკიცა უდიდესი ერთგულება სამშობლოსადმი, საკოლმეურნეო წყობილებისადმი, კოლმეურნეობები კი საბჭოთა საზოგადოების ერთ-ერთი მძლავრი ძალა იყო.

ბურჟუაზიული პოლიტიკოსები და ფსევდოთეორეტიკოსები კვლავ ცილს სწამებენ საკოლმეურნეო წყობილებას, ყოველნაირად ასამენ ხოტბას კერძო მეწარმეობას. მაგრამ რაც უნდა ცდილობდნენ ბურჟუაზიული პროპაგანდისტები, ისინი ვერ მიჩქმალავენ კაპიტალის ქვეყნებში მილიონობით გლეხისა და ფერმერული მეურნეობის საზარელ ექსპროპრიაციას, გაღატაკებასა და გაჩანაგებას.

კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის ომისშემდგომი განვითარება მთელი დამაჯერებლობით ადასტურებს დიდი ლენინის სიტყვებს, რომ „კაპიტალიზმი ამაღლებს მიწათმოქმედების ტექნიკას და წინ სწევს მიწათმოქმედებას, მაგრამ მას არ შეუძლია გააკეთოს ეს სხვანაირად, თუ არა წვრილ მწარმოებელთა მასის გაჩანაგებით, დაბეჩავებითა და გასრესით“ (თხზულებანი. ტ. 16, გვ. 557).

ამის დასადასტურებლად მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე ფაქტს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ ბოლო 18 წლის მანძილზე გაჩანაგდა 2 მილიონ 600 ათასი ანუ ქვეყნის მთელ ფერმერულ მეურნეობათა 46 პროცენტი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაახლოებით ამავე დროის განმავლობაში გლეხთა მეურნეობების რიცხვი შემცირდა თითქმის 600 ათასით, ანუ 26 პროცენტით, იტალიაში 1961-1967 წლების მანძილზე ყოველწლიურად საშუალოდ ჩანაგდებოდა 67 ათასი გლეხური მეურნეობა. როგორც წესი, გაჩანაგებული ფერმერები მოჯამაგირეები ხდებიან ან უმუშევართა არმიას ემატებიან.

ასეთსავე ხვედრს ხომ არ უსურვებენ ჩვენს გლეხობას ბურჟუაზიული პროპაგანდისტები? საბჭოთა გლეხობისათვის სოფლის განვითარების გზების საკითხი დიდი ხანია გადაწყვეტილია, გადაწყვეტილია საბოლოოდ და უცილოდ. სხვანაირ გზას ჩვენი გლეხობა არც ეძებს და არცა სჭირდება.

ძნელია გადაჭარბებით შეავფასოთ საკოლმეურნეო წყობილების უდიდესი ისტორიული როლი საბჭოთა გლეხობისა და მთელი ჩვენი ქვეყნის ბედში.

პოლიტიკური თვალსაზრისით საკოლმეურნეო წყობილებამ განაძტკიცა საბჭოთა სახელმწიფო და მისი მთავარი საფუძველი — მუშათა და გლეხთა კავშირი, უზრუნველყო რეალური პირობები იმისათვის, რომ გლეხებმა მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი წარმოების მართვაში, საერთო-სახელმწიფოებრივი საქმეების გადაწყვეტაში.

ეკონომიური თვალსაზრისით საკოლმეურნეო წყობილებამ სოციალიზმისა და კომუნიზმის სამსახურში ჩააყენა მსხვილი წარმოების სარგებლიანობა, შესაძლებლობა მოგვცა სოფლის მეურნეობა განგვევითარებინა თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე.

სოციალური თვალსაზრისით საკოლმეურნეო წყობილებამ არა მარტო თავიდან აიცილა მშრომელ გლეხობას ექსპლოატაცია და სიღატაკე, არამედ საშუალება მოგვცა სოფლად დაგვემყარებინა საზოგადოებრივი ურთიერთობის ახალი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კლასობრივი განსხვავების სრულ დაძლევას საბჭოთა საზოგადოებაში.

დიდი ლენინის იდეებმა კოოპერაციის შესახებ, პარტიის პოლიტიკამ გლეხთა საკითხის გადაწყვეტაში საკუთარ თავზე გაუძლეს დროით გამოცდას. სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების გამოცდილებამ თვალნათლივ დაგვანახვა, რომ სოციალიზმის მშენებლობა სოფლად — ეს არის გლეხობისათვის ბედნიერების ერთადერთი გზა, ყველა მშრომელთა კეთილდღეობის საფუძველი.

II.

ამხანაგებო!

დღეს საკოლმეურნეო მშენებლობის ისტორიას მივმართავთ არა მარტო იმისათვის, რომ ჯეროვნად დავაფასოთ ვმირული წარსული. ეს სასარგებლოა, გვახსოვდეს მომავლისთვისაც. ჩვენი საბჭოთა ხალხი ქმნის კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

ამ დიადი ამოცანის განხორციელებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სოფლის მეურნეობის ყოველმხრივ განვითარებას.

სოფლის მეურნეობის წარმატებით აღმავლობისათვის ჩვენ გვაქვს საჭირო ობიექტური პირობები, ვრცელი მიწის სავარგულები, მსხვილი სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, როგორიც არის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, მძლავრი მრეწველობა, მოწინავე მეცნიერება, კვალიფიციური და საქმეში გამოწრთობილი კადრები — და, ბოლოს, სოფლის მილიონობით შესანიშნავი მშრომელი.

როგორც მოგეხსენებათ, სკკპ XXIII ყრილობამ, ცენტრალური კომიტეტის მარტის, მაისისა და ოქტომბრის პლენუმებმა განსაზღვრეს ჩვენი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი და კონკრეტული ამოცანები სოფლის მეურნეობის დარგში თანამედროვე ეტაპზე. ამასთან ვცდილობთ, რომ პარტიის პოლიტიკაში სახელმწიფოს, მთელი ჩვენი საზოგადოების ინტერესები სწორად იყოს შეხამებული კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების ინტერესებთან.

როგორია ამ პოლიტიკის მთავარი მიმართულებანი? თუ სულ მოკლედ ვიტყვით, ეს არის უწინარეს ყოვლისა სამანქანო-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცება და სრულყოფა, მიწების ფართო მელიორაცია და სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია. ამ პოლიტიკის დიდმნიშვნელოვანი თავისებურებაა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების დაგეგმვის ახალი წესი, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიური სტიმულირება.

ამოცანა ის არის, რომ თანმიმდევრულად განვახორციელოთ პარტიის მიერ შემუშავებული პროგრამა სოფლის მეურნეობის განვითარებისა. ჩვენი მუშაობის შედეგებზე პრაქტიკული საქმეებით უნდა ვიმსჯელოთ. ჩვენ ვალდებული ვართ მკაცრად და ობიექტურად შევაფასოთ საკუთარი საქმიანობა, მეტისმეტად გადაჭარბებით არ შევაფასოთ ჩვენი მიღწევები, მაგრამ ამასთანავე არ მივჩქმალოთ ისინი. მთავარი კი ის არის, რომ ვხედავდეთ ნაკლოვანებებს, დროულად აღმოვფხვრიდეთ მათ, კორექტივები შეგვქონდეს ჩვენს გეგმებში, ჩვენს მუშაობაში. ცხოვრება ადგილზე როდი დგას, იგი განუწყვეტლივ აყენებს ახალ საკითხებს.

ამხანაგებო! ასრულებენ რა სკკპ XXIII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, კოლმეურნე გლეხობამ, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, პარტიულმა, საბჭოთა და სამეწარმეო ორგანოებმა ამ წლებში დიდი მეცადინეობა მოახმარეს იმას, რომ მიეღწიათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ, ოლქმა და მხარემ დადებითი შედეგები მოიპოვა მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების განვითარებაში.

ნება მიბოძეთ, ამხანაგო დელეგატებო, მოგახსენოთ ზოგიერთი ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 1965-1968 წლების მანძილზე წინა ოთხწლეულთან შედარებით გადიდდა 18 პროცენტით, მარცვლის წარმოება — 15 პროცენტით, ხორცისა — 20 პროცენტით, რძისა — 24, ხამი ბამბისა — 22, შაქრის ჭარხლისა — 47, მზესუმზირასი — 25 პროცენტით. მე დავასახელე ყველაზე დიდმნიშვნელოვანი პროდუქცია.

სოფლის მეურნეობის აღმავლობა დიდად არის განპირობებული შრომის ნაყოფიერების ზრდით. გადიდდა აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვები. წარმოებისა და დამზადების ზრდის ტემპები ამ წლებში წინა წლებზე მაღალი იყო.

ყოველივე ამან აამაღლა მოსახლეობის მიერ კვების პროდუქტების მოხმარების დონე. კერძოდ, ხორცის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე 1969 წელს 1964 წელთან შედარებით გადიდდება 8 კილოგრამით, რძისა — 50 კილოგრამით, კვერცხისა — 36 ცალით.

როგორც მოგეხსენებათ, მიძღინარე წელი სოფლის მეურნეობისათვის ძნელი და რთული იყო. ჩვენი ქვეყნის ბევრ რაიონს თავს დაატყდა ბუნების ძლიერი სტიქიური ძალები. მაგრამ წელსაც სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება და დამზადება იქნება დაახლოებით უკანასკნელი ოთხი წლის საშუალო წლიურ მოცულობათა დონეზე.

მნიშვნელოვნად გადიდდა კაპიტალური დაბანდებანი სოფლის მეურნეობაში, თუმცა მთელ რიგ გარემოებათა გამო ამ მხრივ ყველაფერი როდია გაკეთებული, რაც დასახული გვქონდა. 1965-1968 წლების მანძილზე სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების კაპიტალური დაბანდებანი 19 მილიარდი მანეთით მეტი იყო, ვიდრე წინა ოთხწლეულში.

სერიოზული ცვლილებები მოხდა უკანასკნელი წლების მანძილზე საკოლმეურნეო ეკონომიკაში, კოლმეურნეთა ცხოვრებაში. დღეს კოლმეურნეობები — ეს არის მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით და რომლებსაც კვალიფიციური კადრები ჰყავთ. ახლა საშუალოდ ერთ კოლმეურნეობაზე მოდის 50-ზე მეტი ტრაქტორი, ათობით სატვირთო ავტომობილი, კომბაინი, ელექტრომოტორი და ბევრი სხვა ტექნიკა. 1935 წელს, როცა კოლმეურნეთა II სრულიად საკავშირო ყრილობა მიმდინარეობდა, კოლმეურნეთა ძირითადი ფონდების ღირებულება განისაზღვრებოდა დაახლოებით 5 მილიარდი მანეთით. გასულ წელს კი მან უკვე გადააჭარბა 40 მილიარდ მანეთს (შესადარ ფასებში), ესე იგი 8-ჯერ გაიზარდა.

მტკიცე გეგმებისა და საკოლმეურნეო პროდუქციაზე ეკონომიურად უფრო დასაბუთებული შესასყიდი ფასების დაწესება წარმოების განვითარებისა და კოლმეურნეობების განმტკიცების მძლავრი სტიმული გახდა. უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობათა შემოსავალი და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება ერთნახევარჯერ გაიზარდა. სოფელი სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება. გასულ ოთხ წელიწადში კოლმეურნეთა ხარჯები მარტო ამ მიზნებისათვის თითქმის გაორკეცდა.

ეკონომიკის აღმავლობასა და სოციალური პირობების გაუმჯობესებასთან ერთად სოფლად მაღლდება კულტურა. საბჭოთა გლეხი განათლებული ადამიანია. კოლმეურნეთა ერთ მესამედზე მეტს აქვს უმაღლესი და საშუალო განათლება. ეს, ამხანაგებო, უდიდესი გამარჯვებაა. სიამოვნებით გაცნობებთ, რომ რეგისტრაციის მონაცემებით, კოლმეურნეთა ყრილობის დელეგატთა თითქმის ნახევარი აგრეთვე უმაღლესი და საშუალო განათლებით არის. ბევრი კოლმეურნე, მინდვრებსა და ფერმებში რომ მუშაობს, ამავე დროს სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებში, ტექნიკუმებსა და საშუალო სკოლებში. სოფლის მშრომელები ახლა იწერენ 100 მილიონზე მეტ გაზეთსა და ჟურნალს. ესეც დიდი გამარჯვებაა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის ფართოდ დანერგვა ცვლის კოლმეურნეთა შრომის ხასიათს, ქმნის შესაძლებლობას მათი პროფესიული ზრდისათვის. ახლა კოლმეურნეობებში არის 2 მილიონზე მეტი მექანიზატორი, 330 ათასამდე სპეციალისტი, რომლებსაც უმაღლესი და საშუალო განათლება აქვთ.

მექანიზატორები, მეცხოველეობის ფერმების მუშაკები და სხვა კოლმეურნეები — ესენი, როგორც წესი, არიან ადამიანები, რომლებმაც კარგად იციან თავიანთი საქმე, ეზიარებიან ტექნიკასა და მეცნიერებას, სპეციალისტებთან ერთად სოფლად განამტკიცებენ თანამედროვე საწარმოო კულტურას.

ამრიგად, საბჭოთა სოფელში ახლა შექმნილია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიური წანამძღვრები სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისა და ხალხის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის.

მაგრამ თქვენ, ამხანაგებო, გესმით, რომ ისეთი დიდი პრობლემები, როგორიც არის კომპლექსური მექანიზაცია, ქიმიზაცია, ფართო მელიორაცია და სხვა, არ შეიძლება გადაიჭრას სამ-ოთხ წელიწადში. ამას დასჭირდება დროც და გარკვეული მატერიალური რესურსებიც, აუცილებელი საწარმოო ბაზისა და კვალიფიციური კადრების მომზადება.

III.

ამხანაგებო!

ამ უკანასკნელ წლებში, როგორც უკვე ვთქვი, ჩვენ გავადიდეთ დაბანდებანი სოფლის მეურნეობაში, რათა კიდევ უფრო განვამტკიცოთ მისი ეკონომიური საფუძველი და დავაჩქაროთ განვითარების ტემპები. პარტია და მთავრობა კვლავაც მტკიცედ განახორციელებენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, მინერალური სასუქებით, სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფის გეზს, გაადიდებენ დაბანდებებს მიწის მელიორაციისათვის, სტიმულს მისცემენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასა და დამზადებებს.

უახლოეს დროში, მაგალითად, დაიწყება სატვირთო ავტომობილების ახალი დიდი ქარხნის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მთელი რიგი საწარმოების მშენებლობა. მრეწველობა გადადის მეტი წარმადობის ტრაქტორებისა და კომბაინების გამოშვებაზე. დიდდება ტრაქტორთა და ავტომობილთა მისაბმელების წარმოება.

ამასთან დაკავშირებით, რომ საჭიროა მნიშვნელოვნად გავაფართოოთ ტექნიკის წარმოება მელიორაციისა და მეცხოველეობის ფერმების აღჭურვისათვის, ჩვენ უნდა განვახორციელოთ მთელ რიგ საწარმოთა სპეციალიზაცია ამ ტექნიკის წარმოებისათვის და ამ საწარმოებისადმი ხელმძღვანელობის კონცენტრაცია.

სოფლის მეურნეობის ყოველი ღონისძიებით განვითარება, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება შეადგენს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების იმ ახალი ხუთწლიანი გეგმის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას, რომელსაც ახლა ვადგენთ.

ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა სოფლის მეურნეობის წარმოებისა და მართვის ყველა რგოლის ზუსტი, შეწყობილი მუშაობა, ყოველდღიური ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, ყველა მუშაკის ორგანიზებულობა, დისციპლინა და მაღალი მორალური პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის.

საჭიროა კონკრეტული საქმეები გეგმის შესრულებისათვის თვითეულ რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში, თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, ყველა ცენტრალურ ორგანოსა და სამინისტროში. ეს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

მთელ ჩვენს მუშაობაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის უნდა გვახსოვდეს ჩვენი ქვეყ-

(გაგრძელება მე-3 გვერდზე).

კომუნისტი
მე-2 გვერდი
ოთხშაბათი,
28 ნოემბერი, 1969 წ.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

(გაგრძელება)

ნის მოსახლეობის ყოველწლიური მატება და ჩვენი ხალხის სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებანი. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ საჭიროა გვქონდეს სახელმწიფო რეზერვები. ურეზერვებოდ ვერ ვიცხოვრებთ. ესეც შედის ჩვენს სახალხო-სამეურნეო ვარაუდებში.

ძალიან ბევრი რამ სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარებაში, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია თქვენზე, ამხანაგებო, — კოლმეურნეებზე, საკოლმეურნეო აქტივზე, სპეციალისტებზე, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებზე, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკზე.

სოფლის მეურნეობის დარგში მრავალ საკითხთა შორის მინდა განსაკუთრებით მივაქციო თქვენი ყურადღება იმ საკითხებს, რომლებიც მთავარია ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის აღმავლობის საქმეში.

უწინარეს ყოვლისა **მიწის**, მისი ეფექტიანად გამოყენებისა და ნაყოფიერების გადიდების საკითხი. თქვენ, მინდვრის მშრომელებმა, განსაკუთრებით კარგად იცით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მიწას ადამიანის ცხოვრებაში. მიწა ჩვენი ძალისა და ჩვენი სიმდიდრის წყაროა.

კოლმეურნეობებს აქვთ სახნავების, მდელოების, საძოვრებისა და ტყეების უზარმაზარი მასივები. მიწა თქვენს ხელშია, ამხანაგებო, და მთელი კოლმეურნე გლეხობა მოვალეა ყოველნაირად უფრთხილდებოდეს მას, ამაღლებდეს თვითეული ჰექტარის ნაყოფიერებას. ეს ასევე ეხება საბჭოთა მეურნეობების მუშაკებსაც, რომელთა განკარგულებაშია აგრეთვე მილიონობით ჰექტარი მიწა.

პარტიისა და მთავრობის დოკუმენტებში, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ მიწის კანონში არაერთგზის იყო აღნიშნული, რომ საჭიროა საყოველთაო-სახალხო ბრძოლა მიწათმოქმედების კულტურის აღმავლობისათვის, ეროზიისაგან ნიადაგების დასაცავად სისტემატური მუშაობის ორგანიზაცია და ამის საფუძველზე მაღალი და მყარი მოსავლის მოყვანა.

დღეს კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ ეს, რადგან მიწის დაცვა, მისი ნაყოფიერების გადიდება სოფლის მეურნეობაში შემდგომი პროგრესის აუცილებელი პირობაა. ეს უდიდესი სახელმწიფოებრივი პრობლემაა.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მოვალენი არიან ყოველდღიურად იმუშაონ მიწის გაუმჯობესებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოგვცემს ნაკლებ პროდუქციას, უარესად გვაჭმევს.

ყველანი ვამაყობთ, რომ ჩვენი სამშობლოს სივრცეები თვალუწვდენია. მაგრამ ზოგიერთს აქედან გამოაქვს მცდარი დასკვნა, მიიჩნია, რომ ჩვენი მიწის რესურსები უსაზღვროა. ეს სრულიადაც არ არის ასე. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე მოდის 0,94 ჰექტარი სახნავი. მოსახლეობის ზრდისა და მშენებლობის გაფართოების გამო სახნავის ფართობი ერთ კაცზე გაანგარიშებით ყოველწლიურად მცირდება.

ძალიან უნდა გავუფრთხილდეთ მიწას, მკაცრად და ანგარიშიანად მივუდგეთ მიწების გამოყოფას საწარმოთა მშენებლობისათვის, რასაც, ბუნებრივია, თავიდან ვერ ავიცილებთ. ამასთან უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ კი არ ვამცირებდეთ, არამედ განუწყვეტლივ ვადიდებდეთ პროდუქტიული სავარგულების ფართობებს.

ნიადაგების დაცვა მთელი ჩვენი საზოგადოების საქმეა. მიწის ყოველნაირი გაფუჭება ანტისაზოგადოებრივ მოქმედებად უნდა მივიჩნიოთ. ვინც ხელყოფს მიწას, დაუდევრად ეკიდება მას, არ ზრდის მის ნაყოფიერებას, ის ძირს უთხრის ხალხის კეთილდღეობის საწყის მატერიალურ საფუძველს.

ამხანაგებო! ჩვენმა პარტიამ, როგორც მოგეხსენებათ, შეიმუშავა მიწების ფართო მელიორაციისა და სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის პროგრამა. ეს მიწათმოქმედების პროდუქტიულობის გადიდების საიმედო, სწორი გზაა.

ხუთწლედის ოთხ წელიწადში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მინერალური სასუქების მიწოდება 12,7 მილიონი ტონით გაიზარდა. მომავალ წელს მინერალური სასუქების მიწოდების მატება უფრო გაიზრდება — რვა მილიონ ტონაზე მეტი იქნება. ამ ბოლო სამ წელიწადში სახელმწიფომ და კოლმეურნეობებმა მელიორაციისათვის დაახარჯეს 8 მილიარდ მანეთზე მეტი. გაწეულია დიდი სამუშაოები მნიშვნელოვანი ფართობების მორწყვისა და ამოშრობისათვის. იქმნება წყალსამეურნეო მშენებლობის დიდი საწარმოო ბაზა.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ ფართოდ გავშალეთ ისეთი დიდი, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წყალსამეურნეო ობიექტების მშენებლობა, როგორიც არის კახოკის, კრასნოდარის, ყარშის, სტავროპოლის დიდი არხისა და მთელი რიგი სხვა მშენებლობები.

ამას წინათ პოლიტბიუროს განიხილა ვოლგისპირეთის მიწების მორწყვის საკითხები. მარცვლის სასაქონლო წარმოების ამ უდიდეს რაიონში ხშირია უსასტიკესი გვალვა. გვალვიან წლებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დიდი ზარალი მოსდით. თავის მხრივ, სახელმწიფოს არა მარტო აკლდება დიდძალი პროდუქცია, არამედ იგი იძულებულია ამ რაიონების მეურნეობებს გამოუყოს თესლი, ფურაჟი, სურსათი, გაუწიოს ფინანსური დახმარება.

ბოლო რომ მოვუღოთ ამ მრავალსაუკუნოვან უბედურებას, არსებობს მხოლოდ ერთი გზა — **უნდა მოვრწყათ ეს მიწები.** სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისად დაიწყება დიდი სამუშაოები ვოლგისპირეთის მოსარწყავად.

როგორც უკვე მრავალგზის აღგვინიშნავს, მიწების მელიორაციის საფუძველზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების დიდი პერსპექტივები აქვთ არაშავმიწანიადაგიანი ზონის რაიონებს.

ჩვენ მომავალშიც მეტ ყურადღებას დავუთმობთ სოფლის მეურნეობის მელიორაციისა და ქიმიზაციის საკითხებს, ზუსტად შევასრულებთ ჩვენს მიერ მიღებულ პროგრამას.

ამხანაგებო! თუმცა ეს საკითხის ახლებური დასმა არ არის, იძულებული ვართ გავიმეოროთ, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია მარცვლის მეურნეობა. მისი მდგომარეობა, მარცვლის წარმოების მოცულობა გადამწყვეტ გავლენას ახდენს ყველა სხვა დარგზე და განსაკუთრებით ისეთ დიდმნიშვნელოვან დარგზე, როგორიც არის მეცხოველეობა.

მარცვლის წარმოება კვლავაც ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს, ყოველ ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა წლითიწლობით ვზრდიდეთ ყანების მოსავლიანობას და მარცვლის მოსავლის მთლიანად აღებასა და შესყიდვას.

დიდი ამოცანები დგას ჩვენს წინაშე მეცხოველეობის განვითარების დარგში. ამ დარგთან მჭიდროდ დაკავშირებულია კვების, მსუბუქი მრეწველობის მუშაობა და, რაც მთავარია — მშრომელთა ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება!

ამ ბოლო წლებში მეცხოველეობის დარგში მოხდა დადებითი ძვრები, რაც უკვე აღვნიშნე. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაში ერთ ადგილას როდი ვიდექით. მაგრამ ეს დარგი ჯერაც სრულად ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებებს, ხოლო ეს მოთხოვნილებები ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების კვალობაზე შემდგომშიც გაიზრდება. ამავე დროს მეცხოველეობის განვითარებაში ბევრი გადაუჭრელი საკითხია: დაბალია ფერმების მექანიზაციის დონე, სათანადოდ არ არის განვითარებული მეცხოველეობის მანქანებისა და მოწყობილობის გამომშვები მრეწველობა, ბევრ მეურნეობაში ჯეროვანი ყურადღებით არ ეკიდებიან საკვები ბაზის განმტკიცებას. ყოველივე ეს უნდა გავითვალისწინოთ და განვახორციელოთ საჭირო ღონისძიებანი.

პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა როდი იყენებს არსებულ შესაძლებლობებს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, მათი ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის. ეს ნაკლი უნდა გამოვასწოროთ.

სასურველი იქნებოდა, კერძოდ, ყურადღება მიგვექცია მეცხოველეობის დარგში ჩვენი მუშაობის ზოგიერთი საკითხისათვის.

დღემდე ბევრი მეურნეობა ხორცკომბინატებს აბარებს მცირე წონისა და ნაკვებობის პირუტყვს. ჩვენი სპეციალისტების ყველაზე მარტივი ანგარიში ცხადყოფს, რომ თუ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჩასაბარებელი წონა საშუალოდ ჩვენს ქვეყანაში 350-400 კილოგრამამდე ავიყვანეთ, მაშინ პირუტყვის ახლანდელი სულადობით ჩვენ შევძლებთ დაახლოებით 2 მილიონი ტონით გავზარდოთ ხორცის დამზადება ჩვენს ქვეყანაში. მოწინავე მეურნეობები ახლა უკვე აბარებენ უფრო დიდი წონის პირუტყვსაც.

ყველას გესმით, რომ პირუტყვის პროდუქტიულობის გასაადიდებლად საჭიროა უწინარეს ყოვლისა მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ მუშაობა საკვების წარმოებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის მიერ მიღებულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეძლეს უკვე 35 პროცენტით გაეადიდებინათ მარცვლეულის ხარჯვა საფურაჟე მიზნებისათვის. ამან დიდი როლი შეასრულა პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის ზრდაში.

მაგრამ, ამხანაგებო, იმავე მარტის პლენუმზე ყურადღება დაეთმო უხეში და წვნიანი საკვების წარმოების გადიდებასაც. მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით სერიოზული ძვრები არ მომხდარა. საზოგადოებრივი პირუტყვისათვის თივის დამზადება გაიზარდა მხოლოდ 9 პროცენტით, ხოლო სილოსისა — კიდევაც შემცირდა. ეს ციფრები მოწმობენ საკვებით პირუტყვის უზრუნველყოფის საქმეში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში არსებულ სერიოზულ ხარვეზებს.

ჩვენ ყურადღებით უნდა განვიხილოთ ყველა სახეობის პირუტყვის სულადობის მდგომარეობა. ზოგიერთ მეურნეობაში ნაკლებად ზრუნავენ პირუტყვის სულადობის გადიდებისათვის, ურიგდებიან პირუტყვის რაოდენობის შემცირებას. ეს არაჯანსაღი, არასწორი ტენდენციაა. ახლანდელ პირობებში საჭიროა როგორც პროდუქტიულობის ყოველმხრივ ამაღლება, ისე პირუტყვისა და ფრინველის სულადობის ზრდაც.

არ შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ ისეთი მდგომარეობაც, როცა მეურნეობების ნაწილი სპეციალდება რა მეცხოველეობის ამა თუ იმ პროდუქციის წარმოებაზე, ამცირებს სხვა პროდუქტების წარმოებას, თუმცა ყველა პირობაა ორი, ზოგჯერ კი სამი დარგის განვითარებისათვის. ასეთი მეურნეობები მწარმოებლებიდან ხშირად მომხმარებლებად გადაიქცევიან ხოლმე, სხვაგან ყიდულობენ მეცხოველეობის პროდუქტებს.

რა თქმა უნდა, ჩვენი შემდგომი გზაა მეურნეობათა სპეციალიზაცია, პროდუქტების წარმოების ყოველი ღონისძიებით განვითარება სამრეწველო საფუძველზე. მაგრამ არ შეიძლება სპეციალიზაციის საკითხებში უკიდურესობამდე მივიდეთ, გადავახტეთ ეტაპებს.

იმედი გვაქვს, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სახელმწიფოს დახმარებაზე დაყრდნობით, უფრო ქმედით ღონისძიებებს განახორციელებენ მეცხოველეობაში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და გაადიდებენ პროდუქტების წარმოებას.

ვსარგებლობ რა იმით, რომ აქ არიან რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის საოლქო და სამხარეო კომიტეტების მდივნები, პარტიის რაიკომებისა და კოლმეურნეობების პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის მინისტრები, საოლქო აღმასკომებისა და სამხარეო აღმასკომების თავმჯდომარეები, მინდა ვთქვა, რომ მათ სერიოზული დასკვნები უნდა გამოიტანონ და საჭირო ღონისძიებები განახორციელონ პირუტყვის სულადობის გადიდებისა და მისი პროდუქტიულობის ზრდისათვის.

ჩვენ აგრეთვე მხედველობაში გვაქვს უახლოეს დროში განვიხილოთ ამ დარგის აღმავლობასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები. მათ რიცხვს უწინარეს ყოვლისა განეკუთვნება ისეთი საკითხები, როგორიც არის — მანქანებისა და მექანიზმების წარმოების გაფართოება, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადაყვანა სამრეწველო საფუძველზე, კომბინირებული საკვების მრეწველობის შემდგომი განვითარება.

როგორც ჩანს უნდა განვიხილოთ იმ საკითხების ეკონომიური მხარეც, რომლებიც დაკავშირებულია პირუტყვის სულადობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდებასთან, ამასთან დავიცავთ, რა თქმა უნდა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სახელმწიფოს ინტერესებს.

სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარების ერთ-ერთი მთავარი პირობაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ამ დარგში. სოფლის მეურნეობის ტექნიკური ხელახალი შეიარაღება მარტო სოფლის მშრომელთა საზრუნავი როდია. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო ძალების განვითარებაში განუზომლად გაიზარდა მეცნიერებისა და მრეწველობის როლი.

სატრაქტორო, სასოფლო-სამეურნეო და სამელიორაციო მანქანათმშენებლობა, ქიმიური და სამშენებლო ინდუსტრია, აგრეთვე გადამმუშავებელი მრეწველობა ბევრად განსაზღვრავენ წარმოების დონესა და ეფექტიანობას მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში. ამიტომ მნიშვნელოვნად უნდა გავადიდოთ მოთხოვნები მრეწველობისადმი, რომელიც სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის მუშაობს.

დიდი ამოცანები დგას სოფლის მეურნეობის დარგში სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების წინაშე. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სჭირდებათ უხვმოსავლიანი ჯიშები და კარგი ჯიშის პირუტყვი, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებასთან ბრძოლის ეფექტიანი საშუალებანი, წარმოების პროგრესული ტექნოლოგია და მისი ორგანიზაციის უფრო სრულყოფილი მეთოდები. უნდა გავაძლიეროთ ყურადღება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ეკონომიკის საკითხებისადმი.

საბჭოთა მეცნიერებას, კერძოდ მეცნიერებს, რომლებიც მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის დარგში მუშაობენ, შესანიშნავი მიღწევები აქვთ. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი მეცნიერები კიდევ უფრო აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას სოფლის მეურნეობის აღმავლობის ამოცანების გადაჭრაში.

სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი არ შეიძლება ამოიწუროს მხოლოდ ახალი მანქანების, ქიმიური სასუქებისა და წარმოების სხვა საშუალებათა მიწოდების ზრდით. ამ პროცესის განუყოფელი, აქტიური ნაწილია იმის უნარი, რომ ეფექტიანად, მაქსიმალური სარგებლობით გამოვიყენოთ მიწა და სასუქები, ყოველი მანქანა და წარმოებაში დაბანდებული ყოველი მანეთი. და აქ ყველაფერი, პირველ რიგში, დამოკიდებულია თქვენზე, ამხანაგებო, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის შრომით აქტივობასა და ორგანიზებულობაზე.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბევრ რაიონში მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის უკვე ახლანდელ პირობებში მარცვლეულის, ბამბის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულის, საკვები და სხვა კულტურების მოსავლიანობა შეიძლება იყოს და კიდევაც უნდა იყოს გაცილებით მაღალი, ვიდრე ფაქტიურად არის.

ყველა მეურნეობა როდი იყენებს წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიას, ყველა ეფექტიანად როდი იყენებს მანქანებს, სასუქებს, მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევებს. ყველგან როდია ჯეროვნად ორგანიზებული კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა შრომა.

სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს მასობრივი პროფესიების კადრების მომზადება, რომლებსაც უნარი შესწევთ მაღალ დონეზე შეასრულონ ყველა სამუშაო, რომელიც დაკავშირებულია ახალი ტექნიკის ექსპლოატაციასთან, ქიმიის დანერგვასთან, მელიორაციის განვითარებასთან. ამ უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობა გავწიეთ სოფლის მეურნეობისათვის ამ კადრების მოსამზადებლად. მაგრამ მთელ რიგ მეურნეობებში კადრები აკლიათ, ტექნიკის მნიშვნელოვანი ნაწილი მხოლოდ ერთ ცვლად მუშაობს. თქვენ გვთხოვთ გავადიდოთ ტექნიკის მიწოდება. და ეს თხოვნა სავსებით კანონიერია. მაგრამ ახალი ტექნიკისათვის საჭიროა მოვამზადოთ ახალი კვალიფიციური კადრები.

თვითეული კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა დროულად და გეგმაზომიერად უნდა ამზადებდეს მექანიზატორებსა და სხვა სპეციალისტებს, ჰყავდეს ამ კადრების გარკვეული რეზერვი, ზრუნავდეს მათთვის საჭირო საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის.

უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ ტექნიკა არ ცდებოდეს კადრების მოლოდინში, რომ მიწების ქიმიზაციისა და მელიორაციის საქმე მომზადებული ადამიანების ხელში იყოს.

ამ საერთოსახელმწიფოებრივი ამოცანის გადაწყვეტაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეუძლია შეასრულოს და კიდევაც უნდა შეასრულოს კომკავშირმა. იგი მრავალჯერ ყოფილა კარგი საქმეების წამომწყები, მხურვალედ გამოხმაურებია პარტიის მოწოდებებს. კომკავშირი უდიდეს დახმარებას გაუწევს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, თუ გაშლის ახალგაზრდათა მოძრაობას სასოფლო ტექნიკური პროფესიების დაუფლებისათვის.

შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ კომკავშირი ხელს მოჰკიდებს ამ საქმეს და უახლოეს მომავალში ათასობით კომკავშირელი და ახალგაზრდა დასხდება ტრაქტორებზე, კომბაინებზე, ავტომობილებზე, გახდება მელიორატორი, ელექტრიკოსი, მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორი. ამით, ამხანაგო კომკავშირელებო, დიდ დახმარებას გაუწევთ ჩვენს პარტიასა და ხალხს.

სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სხვა ორგანოებთან ერთად აგრეთვე უნდა მოიფიქროს, თუ როგორ დაეხმაროს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომ საშუალო სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეებისაგან მომზადონ მექანიზატორები და სხვა სპეციალისტები.

მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებით ახლა სოფლის მეურნეობაში სულ უფრო დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოთა კოოპერირების პრობლემას. მოგაგონებთ, რომ ეს საკითხი [illegible] ოქტომბერში, სადაც ნათქვამია, რომ თანდათანობით, ეკონომიური მიზანშეწონილობის მიხედვით წარმოიშობა „აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებანი, რომლებშიც სოფლის მეურნეობა ორგანულად შეხამებულია მისი პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებასთან სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოთა რაციონალური სპეციალიზაციისა და კოოპერირების პირობებში“.

უნდა ითქვას, რომ აგრარულ-სამრეწველო კომპლექსების პრინციპებზე იწყებენ მუშაობას კრასნოდარის მხარის, უკრაინისა და მოლდავეთის მთელი რიგი სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები.

აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებებს უთუოდ დიდი მომავალი აქვთ. ეს არა მარტო ახალი ორგანიზაციული ფორმაა, არამედ დიდმნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიური მოვლენაც არის. ჩვენ პრაქტიკულად უნდა მოვკიდოთ ხელი ამ საქმეს. თავიდან ავიცილოთ შეცდომები და მოუფიქრებელი, ნაჩქარევი გადაწყვეტილებანი.

სოფლის მეურნეობის განვითარების ჩვენ მიერ დასახული პროგრამის შესრულებასთან უშუალოდ დაკავშირებულია სოფლად სოციალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული მშენებლობის საკითხები. ეს აღინიშნა პარტიის XXIII ყრილობასა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე და ამ ბოლო წლებში ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა. სოფლებში აშენდა ბევრი საცხოვრებელი სახლი, სკოლა, კლუბი, საავადმყოფო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო საწარმო. მნიშვნელოვნად გაფართოვდა სამუშაოები სოფლების გაზიფიკაციისა და ელექტრიფიკაციის დამთავრებისათვის.

მაგრამ ჯერჯერობით სასოფლო მშენებლობა არ მიმდინარეობს ისეთი მასშტაბებით, როგორიც სასურველია. სოფლის მცხოვრებთა მოთხოვნები ამ მხრივ წლითიწლობით იზრდება, და ამიტომ ჩვენი საერთო მოვალეობაა გამოვნახოთ რესურსები და უფრო სრულად უზრუნველვყოთ სასოფლო მშენებლობანი ყველა საჭირო მასალით, გაეაუმჯობესოთ სოფლის მომარაგება ცემენტით, ლითონით, ხე-ტყით, სახურავით, მინით, გამოვყოთ მეტი მოწყობილობა აგურისა და სხვა ადგილობრივი სამენი მასალების წარმოებისათვის.

თვით კოლმეურნეობებიც უფრო აქტიურად უნდა მუშაობდნენ ამ მიმართულებით. მაშინ სოფლის კეთილმოწყობა და კულტურულ დაწესებულებათა მშენებლობა მნიშვნელოვნად დაჩქარდებოდა.

როგორც ხედავთ, ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წინაშე დიდი და მეტად მნიშვნელოვანი ამოცანები დგას. ეჭვიც არ არის, რომ კოლმეურნეები და სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკი ძალღონეს არ დაიშურებენ და გაზრდიან სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას.

ამხანაგებო! ახლა სოფლად ცხოვრობს და მუშაობს 5 მილიონზე მეტი კომუნისტი, 8 მილიონზე მეტი კომკავშირელი და 15 მილიონი პროფკავშირის წევრი. ახლა ჩვენში არ არის არც ერთი კოლმეურნეობა, არც ერთი საბჭოთა მეურნეობა, სადაც არ იყოს პარტიული ორგანიზაცია. კომუნისტები სოფლის მშრომელთა აღიარებული ავანგარდია, ისინი სამაგალითონი არიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

კომუნისტების, კომკავშირელებისა და პროფკავშირთა წევრების მთელ ამ უზარმაზარ არმიას აერთიანებენ და მეთაურობენ სოფლის პირველადი პარტიული ორგანიზაციები და პარტიის რაიონული კომიტეტები. ისინი პარტიის ხაზის აქტიური გამტარებლები, მასების მებრძოლი ორგანიზატორები არიან.

ცენტრალური კომიტეტი იმედოვნებს, რომ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები თავიანთი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობით უზრუნველყოფენ ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების დიდი პროგრამის წარმატებით შესრულებას.

ამხანაგებო! მინდა შევეხო ორ საკითხს, რომლებიც აღიძრა კოლმეურნეთა ბევრ კრებაზე.

როგორც მოგეხსენებათ, ამ ბოლო წლებში ჩვენ განვახორციელეთ მთელი რიგი დიდი სოციალური ღონისძიებანი, ისეთი, როგორიც არის კოლმეურნეთა პენსიით უზრუნველყოფა, შრომის გარანტირებული ანაზღაურება და სხვა. ახლა გამოთქვამენ წინადადებებს კოლმეურნეობათა ანარიცხებიდან კოლმეურნეთა სოციალური დაზღვევის ერთიანი სისტემის შემოღების შესახებ, ეს წინადადება, ვფიქრობთ, ყრილობის ყურადღების ღირსია. იგი მილიონობით კოლმეურნეს შეეხება.

ახალი სანიმუშო წესდების პროექტის განხილვის დროს გამოითქვა აგრეთვე სურვილი, რომ შეიქმნას კოლმეურნეობათა თავიდან ბოლომდე არჩევითი საბჭოები საკოლმეურნეო დემოკრატიის შემდგომი განვითარების, მათი საქმიანობის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხების კოლექტიური განხილვის, წარმოების ორგანიზაციის გამოცდილების განზოგადებისა და საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდის რეზერვების უფრო სრულად გამოყენების შესახებ რეკომენდაციათა შემუშავების მიზნით.

კოლმეურნეობათა საბჭოებს, რომლებშიც არჩეული იქნებიან კოლმეურნეობათა ყველაზე გამოცდილი თავმჯდომარეები, წარმოების მოწინავეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, შეუძლიათ დიდი როლი შეასრულონ კოლმეურნეობათა წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში.

თუ ყრილობა მიზანშეწონილად ჩიიჩნევს ასეთი საბჭოების შექმნას, შეიძლება აქვე ავირჩიოთ კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭო.

ამხანაგებო!

სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობასა და საკოლმეურნეო წყობილების განვითარებაში უდიდესი როლი უნდა შეასრულოს კოლმეურნეობის ახალმა სანიმუშო წესდებამ, რომელიც თქვენ უნდა განიხილოთ.

მე დაწვრილებით არ შევეხები ახალი წესდების თავისებურებათა დახასიათებას. ამის შესახებ მოგახსენებთ თავის მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ამხანაგი დ. ს. პოლიანსკი.

მინდა მხოლოდ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენი ქვეყნის ფართო საზოგადოებრიობისა და უწინარეს ყოვლისა თვით კოლმეურნეების კოლექტიური მონაწილეობით შემუშავებული ახალი წესდების მიღება ქმნის ახალ შესაძლებლობებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისა და კოლმეურნეთა მასების აქტივობის გადიდებისათვის.

ახალი წესდების საკითხი დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია. საქმე ეხება. ეს შეიძლება სრული საფუძვლით ითქვას, ახალ ეტაპს კოლმეურნეობათა განვითარებაში. წესდების მიღება გახდება აგრეთვე დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი მთელი ჩვენი სოციალისტური დემოკრატიის განვითარებაში. მისი ღრმად ხალხური ხასიათის, მისი უდავო უპირატესობების ახალი დადასტურება.

(დასასრული მე-4 გვერდზე).



მოსკოვი. კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობა. სურათზე: საქართველოს დელეგაცია სხდომათა დარბაზში.

ფოტო საქდესის სპეც. კორესპონდენტის ი. დავითაშვილისა (მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დასასრული

კოლმეურნეობის წინანდელი სანიმუშო წესდება შთააგონებდა და წარმართავდა კოლმეურნეობების საქმიანობას ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ქმნადობისა და განვითარების წლებში. ახალი სანიმუშო წესდება გახდება კოლმეურნე გლეხობის ცხოვრებისა და შრომის კანონი სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენი პარტია და ხალხი მთელ ენერგიას ახმარენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეს, საზოგადოებრივი ურთიერთობის შემდგომ განვითარებას, ხალხის კომუნისტურ აღზრდას, ერთი სიტყვით კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანებს. ამ ამოცანების სწრაფად და წარმატებით გადაწყვეტა ბევრად არის დამოკიდებული საგარეო პირობებზეც, რომლებშიც გვიხდება ცხოვრება და მუშაობა, საერთაშორისო ურთიერთობაში შექმნილ ვითარებაზე. ამიტომ ბუნებრივია, რომ საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები განუწყვეტლივ მოითხოვენ დიდ ყურადღებას.

საერთაშორისო საქმეებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი და ჩვენი საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად და ურყევად ახორციელებენ კურსს, რომელიც დიდმა ლენინმა გვიანდერძა. ჩვენ შეუპოვრად ვიბრძვით საგარეოპოლიტიკური პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც სკკპ XXIII ყრილობამ მოიწონა.

ჩვენი საგარეო პოლიტიკა მუდამ და უცვლელად იყო მთელი მსოფლიოს რევოლუციურ, ანტიიმპერიალისტურ, განმათავისუფლებელ, პროგრესულ და მშვიდობისმოყვარე ძალებთან სოლიდარობისა და კავშირის პოლიტიკა.

ჩვენი საგარეო პოლიტიკა მუდამ და უცვლელად იყო პოლიტიკა ბრძოლისა მტკიცე მშვიდობისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის ყველა სახელმწიფოს შორის, მათი საზოგადოებრივი წყობილების მიუხედავად. მტკიცე მშვიდობის მიღწევის, მსოფლიო რაკეტულ-ატომური ომის საფრთხის შემცირების მიზნებს ემსახურება საბჭოთა კავშირის შეუპოვარი ბრძოლაც ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების დადებისათვის, რომელიც გუშინ დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა.

და სწორედ იმიტომ, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკა არის მშვიდობის პოლიტიკა, იგი ამასთანავე მუდამ და უცვლელად არის აგრესიის წინააღმდეგ გაბედული ბრძოლის პოლიტიკა, ომის იმპერიალისტი გამჩაღებლების, ხალხთა თავისუფლების ჩახშობების საშიში ზრახვებისა და ავანტიურების მხილებისა და ჩაფუშვის პოლიტიკა.

ვიბრძვით რა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის, არასოდეს არ ვივიწყებთ საშიშროებას, რომელსაც წარმოადგენს მშვიდობის მტერთა ავანტიურისტული პოლიტიკა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ჩვენი ქვეყნის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ჩვენი თავდაცვა მუდამ იყოს მძლავრი და საიმედო, რომ საბჭოთა კავშირის სახელოვან შეიარაღებულ ძალებს ჰქონდეთ ყველაფერი, რაც საჭიროა ჩვენი ქვეყნის უშიშროების საიმედო უზრუნველყოფისათვის, იმისათვის, რომ ჩვენს ძმებთან და მოკავშირეებთან — სოციალისტურ სახელმწიფოებთან ერთად საიმედოდ დავიცვათ დიადი სოციალისტური გაერთიანების ინტერესები.

ასეთია ზოგადად იმ კურსის არსი, რომელსაც ვახორციელებთ საერთაშორისო საქმიანობაში. ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ამ კურსს ერთსულოვნად, მხურვალედ უჭერს მხარს მთელი საბჭოთა ხალხი.

ჩვენს პოლიტიკას მხარს უჭერენ და იზიარებენ ჩვენი მოკავშირენი — ძმამე სოციალისტური ქვეყნები. მას აქტიურად უჭერენ მხარს და იწონებენ ჩვენი თანამოაზრენი და თანამებრძოლები რევოლუციურ ბრძოლაში — საზღვარგარეთის ქვეყნების კომუნისტები.

ეს განსაკუთრებით დამაჯერებლად ცხადყო ამა წლის ზაფხულში მოსკოვში გამართულმა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირმა, რომლის მონაწილეებმა მხურვალედ და გულითადად აღნიშნეს ის უდიდესი როლი, რომელსაც ასრულებენ ხალხთა მსოფლიო რევოლუციურ განმათავისუფლებელ ბრძოლაში საბჭოთა კავშირი და მისი ლენინური კომუნისტური პარტია.

მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობისა და კაცობრიობის პროგრესის საქმე, მაღალ შეფასებას აძლევენ სსრ კავშირის პოლიტიკას, როგორც საყოველთაო მშვიდობის დაცვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა მტკიცე და საიმედოა. ამხანაგებო, საგარეო პოლიტიკაში ბევრი წარმატება მოვიპოვეთ. სოციალიზმის, თავისუფლებისა და მშვიდობის ძალების პოზიციები განუხრელად მტკიცდება მთელ მსოფლიოში. პარტია და მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა საბჭოთა ხალხმა იშრომოს მშვიდად და გულდაჯერებით, შეასრულოს კომუნიზმის მშენებელთა ისტორიული მისია.

ამხანაგებო! კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი ამაყობენ სოფლის მშრომელთა შესანიშნავი საქმეებით. კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა მეურნეობების მუშები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები მუდამ ჩიენდნენ მაღალ პატრიოტიზმს, პოლიტიკურ სიმწიფეს, თავდადებასა და უმაგალითო შრომისმოყვარეობას.

ჩვენ გველის ბევრი ახალი და დიდი ამოცანა. ჩვენ ვაშენებთ კომუნისტურ საზოგადოებას. მტკიცედ მივდივართ დასახული მიზნისაკენ. კომუნისტურმა პარტიამ კარგად იცის, რომ სოფლის მშრომელები მუშათა კლასთან და ინტელიგენციასთან ერთად მთელ ძალებს, გამოცდილებასა და ცოდნას, რევოლუციურ ენთუზიაზმს მოახმარენ კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების განხორციელებას.

ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ერთხელ კიდევ გამოვთქვა რწმენა, რომ კოლმეურნეთა III ყრილობის მუშაობა და გადაწყვეტილებანი ხელს შეუწყობენ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცების საქმეს, მთელი ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის აღმავლობას.

გისურვებთ დიდ წარმატებებს თქვენი ყრილობის მუშაობაში! გისურვებთ დიდ პირად ბედნიერებას, ძვირფასო ამხანაგებო!

* * *

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, წავიკითხო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობისადმი.

* * *

(ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა შეკრებილებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. მისი სიტყვის დროს არაერთხელ გაისმოდა ტაში).

კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების შესახებ

დ. ს. პოლიანსკის მოხსენება კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობაზე

ძვირფასო ამხანაგო დელეგატებო!

პატივცემულო სტუმრებო!

უდიდეს გარდაქმნათა შორის, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებას. კოლმეურნეობები საბჭოთა საზოგადოების შემადგენელი, განუყოფელი ნაწილია, მათთან დაკავშირებულია ჩვენი წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში. მათთან ერთად ვწყვეტთ ახლა კომუნისტური მშენებლობის ახალ, გრანდიოზულ ამოცანებს.

მაღალი შეფასება, რომელიც კოლმეურნე გლეხობისა და სოფლის ყველა მშრომელის წარმატებებს მისცეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ თავიანთ მისალმებაში, პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა ამ ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში, — მოწმობს, რომ პარტია უდიდეს ყურადღებას უთმობს საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცების, სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების მძლავრი აღმავლობის საკითხებს.

ახლა მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი მსოფლიო ყურადღებით ადევნებს თვალს აქ, კრემლში შეკრებილ საკოლმეურნეო სოფლის საუკეთესო წარმომადგენლთა მუშაობას. ეს სასვებრი გასაგებია. კოლმეურნეთა ყრილობა დიდი მოვლენაა საბჭოთა სოფლის, მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. ჩვენმა ყრილობამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდება — სოფლად საკოლმეურნეო ცხოვრების კანონი.

წესდება უნდა შეესაბამებოდეს კოლმეურნეობათა განვითარების ახალ ეტაპს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისა და მთელი ჩვენი ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ამოცანებს. იგი მოწოდებულია ემსახურებოდეს სოფლად საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფის ინტერესებს, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

ეს არის მისი ღრმა აზრი და მისი ძირითადი მიზანი.

I. ლენინის კოოპერაციული გეგმის გამარჯვება

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება, ისევე როგორც საბჭოთა ხალხის ყველა მონაპოვარი, განუყოფლად დაკავშირებულია ვ. ი. ლენინის სახელთან, ჩვენი პარტიის ბრძოლასთან მშრომელთა ინტერესებისათვის.

ბოლშევიკების პარტიამ, პირველმა ისტორიაში, რეალური საფუძველი შეუქმნა გლეხობის ბედის, ექსპლოატაციისა და სიღატაკისაგან მილიონობით სოფლის მშრომელის ხსნის საკითხის გადაწყვეტას. ლენინმა განავითარა მარქსისა და ენგელსის მოძღვრება და დაამტკიცა, რომ მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გზით მუშათა კლასთან მჭიდრო კავშირით, მისი ხელმძღვანელობით არის შესაძლებელი გლეხების განთავისუფლება სოციალური ჩაგვრისაგან.

ამ დღეებში სრულდება 50 წელი იმ დღიდან, როცა ვლადიმერ ილიას-ძე გამოვიდა სამოწამებრივ კომუნებისა და სასოფლო-სამეურნეო არტელების დელეგატთა პირველ ყრილობაზე. მაშინ, 1919 წელს, ეს გაერთიანებები ძლივს შესამჩნევი კუნძულები იყო ერთპიროვნული გლეხური მეურნეობების უნაპირო ზღვაში. მაგრამ მაშინაც ბელადის გენიამ მათში დაინახა ახალი სოციალისტური წყობილების ყლორტები.

პარტია და საბჭოთა ხელისუფლება, რომლებმაც განახორციელეს მიწის ნაციონალიზაცია, გადააქციეს იგი საყოველთაო-სახალხო კუთვნილებად, ასეული მილიონი ჰექტარი მიწის სავარგულები გადასცეს გლეხობას, ითვალისწინებდნენ, რომ ძირეული ცვლილებანი სოფლის ცხოვრებაში შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ კოოპერირების საფუძველზე. ლენინის კოოპერაციული გეგმა ნიშნავდა მილიონობით წვრილი მეურეეობის ეარდაქმნას მსხვილ, კოლექტიურ მეურნეობებად, მშრომელი გლეხობის ჩაბმას სოციალიზმის მშენებლობაში.

როცა იმუშავებდა ამ მშენებლობის პროგრამას — სახავდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გზებს, ლენინს ყველაზე რთულ საქმედ მიაჩნდა სოციალიზმის მშენებლობა სოფლად. და მართლაც, უნდა დაგვიძლია არა მარტო ის, რომ გლეხი მრავალი საუკუნის მანძილზე მიჩვეული იყო თავის მიწის ნაგლეჯს, წვრილ, ინდივიდუალურ მეურნეობას, არამედ აგრეთვე უნდა დაგვეძლია სოფლის ექსპლოატატორული ძალების გაადგურებული წინააღმდეგობა. კოლექტივიზაციის პროცესში მოგვიხდა ბრძოლა აგრეთვე ყველა ჯურის ოპორტუნისტებთან, კოოპერირების თვით იდეისა და პრაქტიკის ყოველნაირ დამახინჯებებთან.

კომუნისტურმა პარტიამ დასახული ამოცანის გადასაწყვეტად შეაკავშირა მილიონობით მშრომელი გლეხი, უზრუნველყო მათი გაერთიანება კოლმეურნეობებში, განახორციელა სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაცია.

ამაში, კოლმეურნეობათა შექმნასა და განმტკიცებაში უდიდესი როლი შეასრულეს მოწინავე მუშებმა, ნაცადმა კომუნისტებმა, რომლებიც პარტიამ სოფელში გაგზავნა, სოფლის კომუნისტებთან, პარტიის რაიონულ კომიტეტებთან ერთად ისინი გახდნენ კოლექტივიზაციის წამყვანი ძალა, მისი სულისჩამდგმელი. ისინი აერთიანებდნენ სოფლის მშრომელებს, ადუღებდნენ მათს ერთობას, მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, გამოცდილებასა და ცოდნას არ იშურებდნენ სოფლად სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

კოლმეურნეობების შექმნასა და განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა. სწორედ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში იყო თავმოყრილი ის პირველი საბჭოთა ტრაქტორები და კომბაინები, რომლებსაც ქალაქი სოფელს უგზავნიდა. სწორედ აქ, ისევე როგორც საბჭოთა მეურნეობებში, მუშათა კლასმა შექმნა თავისი მტკიცე რაზმები, რომლებიც გახდნენ პარტიის პოლიტიკის აქტიური გამტარებლები სოფლად. თავიანთი შემოქმედებითი საქმიანობით მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა ნათელი ფურცელი ჩაწერეს საკოლმეურნეო წყობილების ისტორიაში.

კოლმეურნეობების შექმნა, კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაცია ეგმმარიტად რევოლუციური გადატრიალებაა სოფლად, რომელმაც შეცვალა სოფლის ცხოვრების მთელი წყობა.

კოლმეურნეობებში გლეხების გაერთიანებისა და სახელმწიფო საწარმოების — საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციის შედეგად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა სოფლის მეურნეობის სოციალისტური სისტემა. კოლმეურნე გლეხობის საქმიანობა ხორციელდება კოლექტიური, საზოგადოებრივი საკუთრების ბაზაზე. მისი ძირეული ინტერესები კიდევ უფრო მტკიცედ და განუყოფლად დაუკავშირდა მუშათა კლასის ინტერესებს.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ მოგვცა შესაძლებლობა სოფლად შეგვექმნა არსებითად ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეგვეგიარადებინა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები თანამედროვე მანქანებით. მხოლოდ კოლმეურნეთა მეორე სრულიად საკავშირო ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო შრომის ენერგოშეიარაღება თითქმის 9-ჯერ გაიზარდა. ეს ნიშნავს, რომ კოლმეურნეთა შორის სულ უფრო მატულობენ ისეთი მუშაკები, რომლებიც დაუფლებიან კოლმეურნეობის შრომის ტექნიკას, რომელიც თავისი სახეობით სამრეწველო წარმოების მუშაკთა შრომის ტიპისაა.

ამჟამად კოლმეურნეობები თავიანთი სიდიდით, ძირითადი საწარმოო ფონდებით და წარმოების მასშტაბით სულ სხვაა ოცდაათიანი-ორმოციანი წლების მეურნეობებთან შედარებით. საკმარისია ითქვას, რომ საშუალოდ კოლმეურნეობაზე ახლა მოდის 6 ათას ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო საკარგული — ერთიათახად მეტი, ვიდრე 1935 წელს, განუყოფელი ფონდები კი გადიდდა 8-ჯერ და შეადგინეს თითქმის 53 მილიარდ მანეთს.

მიწის ფართობებით, თავიანთი საწარმოო მაჩვენებლებით კიდევ უფრო მსხვილია საბჭოთა მეურნეობები. მათი ხვედრითი წონა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ყოველწლიურად იზრდება.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ეკუთვნით ვადამწყვეტი როლი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ყველა პროდუქტის წარმოებასა და ამ პროდუქტებით ქვეყნის მომარაგებაში. ჩვენი სოფლის მეურნეობა მტკიცედ მიდის წინ. საბჭოთა სახელმწიფო ყოველ ღონეს ხმარობს და იხმარს იმისათვის, რომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დაძლიონ ბუნების ჭირვეულობანი და ყოველწლიურად სულ უკეთ გადაწყვიტონ მათ წინაშე მდგომი ამოცანები.

დიდი ცვლილებანი მოხდა სოფლად საზოგადოებრივი ურთიერთობის დარგში. საკოლმეურნეო საკუთრება, წამყვანან, საერთო-სახალხო საკუთრებასთან ერთად, მტკიცედ დამკვიდრდა როგორც სოციალისტური საკუთრების ორიდან ერთ-ერთი ძირითადი ფორმა. ამაღლდა მისი განსაზოგადოების დონე, რასაც მოწმობს საკოლმეურნეობათაშორისო და სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოთა და გაერთიანებათა შექმნა. დიდი თვისებრივი ცვლილებანი მოხდა განუყოფელ ფონდებშიც, შემოსავლის განაწილებაში, ეს სულ უფრო მტკად აახლოებს საკოლმეურნეო საკუთრებას საერთო-სახალხო საკუთრებასთან.

შეიცვალა სოფლის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. უკვე ომის წინ კოლმეურნეობაში შესული გლეხის ოჯახში შეძლებული ცხოვრება დამკვიდრდა. ახლა კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი 1940 წელთან შედარებით ოთხჯერ და მეტად გაიზარდა.

სულ უფრო შესამჩნევად იცვლის იერს სოფელი. საწარმოო მშენებლობასთან ერთად ფართოვდება საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის მასშტაბი. მარტო უკანასკნელი 10-12 წლის მანძილზე კოლმეურნეთა ექვს მილიონზე მეტი ოჯახი შესახლდა ახალ სახლებში. ბევრ ადგილას მიმდინარეობს სოფლების გარდაქმნა კეთილმოწყობილ დაბებად. ფართოვდება სკოლებისა და კლუბების, კულტურის სასახლეებისა და ბიბლიოთეკების, მაღაზიებისა და სასადილოების, სამკურნალო დაწესებულებებისა და საბავშვო ბაღების, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელი.

დღეს, როგორც იტყვიან, მარტო პური არსობისა როდია გლეხის საფიქრალი. მისი საზრუნავი სულ უფრო მეტად ხდება კულტურული ყოფაცხოვრების, შესაბამისი კომფორტის შექმნა. ახლა უკვე ყველამ იცის, რომ კოლმეურნეთა მესამედზე მეტს აქვს საშუალო და უმაღლესი განათლება, რომ ყველა ბავშვი სკოლაში სწავლობს. სოფლად ჩვეულებრივად იქცა აგრონომისა და ზოოტექნიკოსის, ინჟინრისა და ეკონომისტის, ტრაქტორისტისა და კომბაინერის, ელექტრომონტიორისა და ძროხის მანქანური წველის ოსტატის სპეციალობანი. სოფლად შრომობს ინტელიგენციის — განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის მუშაკთა დიდი არმია.

საბჭოთა კოლმეურნე გლეხობა ახალი გლეხობაა, რომელიც ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელების შედეგად იშვა და გაიზარდა. იგი მუშათა კლასის ერთგული მოკავშირეა, და მთელ ხალხთან ერთად წყვეტს კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს.

საკოლმეურნეო წყობილებამ აღზარდა შესანიშნავი ადამიანები, რომლებიც ნამდვილ გმირობას იჩენენ საზოგადოებრივი წარმოების ყველა უბანზე. უკვე კოლმეურნეობის არსებობის ომისწინა წლებში მთელ ქვეყანას მოედო საუკეთესო ტრაქტორისტებისა და კომბაინერების, უხვი მოსავლის ოსტატებისა და შესანიშნავი მეცხოველეების სახელები; მათი მუშაობის დიდებულმა შედეგებმა მთელი საბჭოთა ხალხის აღტაცება გამოიწვია.

ამჟამად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში, მეცხოველეობის ფერმებში მუშაობს ათეულათასობით ახალი და კიდევ უფრო გამოცდილი ოსტატი; მათი შრომა შთამაგონებელი მაგალითია სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისათვის. ახლანდელი კოლმეურნეების, ისევე როგორც საბჭოთა მეურნეობების მუშაკების მასა სიყვარულით, მეურნეობრივად ეკიდება საზოგადებრივ წარმოებაში შრომას. მათ კარგად ესმით, რომ მათს მეცადინეობაზე დიდად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ქვეყნის მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილება, ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობა.

ყველაზე დიდი ქების ღირსი არიან ჩვენი გლეხი ქალები. საკოლმეურნეო წყობილებამ მათ ნიჭისა და უნარის გამოვლინების, კოლექტიურ შრომასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის ფართო გზა გაუკვალა. ყველამ იცის, რა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს და შეაქვთ მათ კოლმეურნეობათა განმტკიცებაში, რა მძიმე ტვირთი დააწვა მათ ომის წლებში. საკოლმეურნეო მშენებლობის ისტორიაში ჩვენი გლეხი ქალების შრომა სამუდამოდ შევა როგორც უდიდესი გმირობისა და სამშობლოსადმი დიდი სიყვარულის ბრწყინვალე მაგალითი.

დიდმა სამამულო ომმა განსაკუთრებით დამაჯერებლად გვიჩვენა საკოლმეურნეო წყობილების დაუმრეტელი ძალა, კოლმეურნეთა, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელთა პატრიოტიზმი და ენერგია. საბჭოთა გლეხობამ როგორც მშვიდობიანი შრომის წლებში, ისე მკაცრი განსაცდელის დღეებში გვიჩვენა, რომ მან მტკიცედ და სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ცხოვრება სოციალისტურ მეურნეობას — კოლმეურნეობებს.

სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის მატიანეში სამუდამოდ ჩაიწერა საკოლმეურნეო მოძრაობის ბევრი ცნობილი ხელმძღვანელის — კოლმეურნეთა პირველი ორგანიზატორებისა და უცვლელი ხელმძღვანელების სახელები. მათი ცხოვრება იმის დადასტურებაა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანია ნიჭი მშრომელი ხალხისა, რომელიც თავისი ბედის ბატონ-პატრონი გახდა.

პარტიის დახმარებით სოფლად აღიზარდა საკოლმეურნეო წარმოების კვალიფიციურ ხელმძღვანელთა მრავალრიცხოვანი რაზმი. ჩვენი ყრილობის დელეგატთა შორის ბევრი ამხანაგია, რომლებიც მრავალი წლია მეთაურობენ მსხვილ კოლმეურნეობებს; მათ თავიანთი სანიმუშო მუშაობით საყოველთაო-სახალხო პატივისცემა დაიმსახურეს, ფართოდ გაითქვეს სახელი. მათი საქმიანობა საკოლმეურნეო წყობილების ცოცხალი ისტორიაა, შესანიშნავი მაგალითია სოფლის მეურნეობის ყველა ხელმძღვანელისა და სპეციალისტისათვის, ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

პარტია და საბჭოთა სახელმწიფო დაუცხრომლად ზრუნავენ იმისათვის, რომ სოფლად სულ უფრო გამრავლდნენ სწორედ ასეთი ადამიანები — ნიჭიერი და კვალიფიციური ორგანიზატორები, კარგი სპეციალისტები. კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ახლა 670 ათასზე მეტი სპეციალისტი შრომობს.

სოფლის მეურნეობას დიდ დახმარებას უწევენ ჩვენი მეცნიერნი. მათ ქვეყანას მისცეს შესანიშნავი ჯიშის მარცვლეული კულტურები და მზესუმზირა, შაქრის ჭარხალი და ბამბა, ჩაი და ხილი, გამოიყვანეს მაღალპროდუქტიული ცხოველებისა და ფრინველის ჯიშები, შეიმუშავეს მთელი რიგი ეფექტიანი აგროტექნიკური ხერხები, სასარგებლო წინადადებანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ეკონომიკის საკითხებზე, განახორციელეს და ასრულებენ მთელ რიგ სხვა სამუშაოებს. ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მრავალი წარმომადგენლის სახელს დიდი პატივისცემით წარმოთქვამენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც.

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება და წარმატებანი — ეს არის ლენინის კოოპერაციული გეგმის ვამარჯვება, ეს არის მშრომელი გლეხობის მსოფლიოში არნახული მონაპოვარი. რა თქმა უნდა, ყველამ ვიცით, რომ საკოლმეურნეო მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში იოლი საქმე როდი იყო. ახლაც გვაქვს ბევრი ძნელი და რთული პრობლემა. მაგრამ განა ოდესმე ყოფილა, რომ თუნდაც ერთი დიდი საზოგადოებრივი გარდაქმნა სიძნელეების გარეშე მომხდარიყოს?! მთავარი ეს როდია. მთავარია ის ძირეული გარდაქმნები, რომლებიც მოხდა სოფლის მეურნეობაში, გლეხობის ცხოვრებაში.

საკოლმეურნეო წყობილება მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ფაქტორი გახდა, და უეჭველია, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სოციალისტურ ფორმას ეკუთვნის მომავალი მთელ მსოფლიოში.

მომართავს რა საბჭოთა კავშირის გამოცდილებას, მრავალი სოციალისტური ქვეყანა ითვალისწინებს თავის კონკრეტულ პირობებს და წარმატებით იყენებს გლეხობის კოოპერირების ლენინურ პრინციპებს, აღწევს მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სოფლის მშრომელთა ცხოვრებას.

კოოპერირების იდეებს უდიდესი მიმზიდველი ძალა აქვს სხვა ქვეყნების მშრომელებისთვისაც. სსრ კავშირში საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება სწორი ორიენტირია ყველასთვის, ვინც ცდილობს დაადგეს ასეთ გზას — საიმედო, ცხოვრებით შემოწმებულ გზას.

ვაჯამებთ რა შედეგებს, ანალიზს ვუკეთებთ რა საბჭოთა გლეხობის მიერ ინდივიდუალური ერთპიროვნული მეურნეობიდან კოლექტიურ, საზოგადოებრივ მეურნეობამდე — კოლმეურნეობამდე განვლილ გზას, შეიძლება შემდეგი დასკვნები გამოვიტანოთ:

XXIV მრთი, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისა და განმტკიცების, ამ საფუძველზე გლეხობის ცხოვრების გაუმჯობესების მთავარი, გადამწყვეტი პირობაა სოციალისტური სახელმწიფო, მშრომელთა ხელისუფლება, მუშათა კლასისა და გლეხობის ურღვევი კავშირი, მათი შეკავშირება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით;

მეორე, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება, სოფლის მეურნეობაში წარმოების სოციალისტური წესის დამკვიდრება ნიშნავდა თვისებრივ ცვლილებებს თვით გლეხობაშიც, მისი ინტერესების შემდგომ დაახლოებას, გადაბლართვას მუშათა კლასის ინტერესებთან. მათი მიზნები და ამოცანები განუყოფელი, ერთიანი ხდება; ეს არის სოციალიზმის აშენება, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა;

მესამე, სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის — საკოლმეურნეო და საერთო-სახალხო საკუთრების არსებობა — ჯერჯერობით მუშათა კლასსა და გლეხობას შორის ტოვებს გარკვეულ განსხვავებას. მაგრამ კომუნიზმის გზით ნაბიჯ-ნაბიჯ ეს განსხვავებანი ეროვნულ კიდევ უფრო ახლოებს ერმანთურთან საკოლმეურნეო და საერთო-სახალხო საკუთრებას, ადუღაბებს ამ ორი კლასის, აგრეთვე სოციალისტური წყობილებით შობილი ინტელიგენციის ინტერესების ერთობას;

მეოთხე. კოლმეურნე გლეხობა, აწვდის რა ქალაქს სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, შეაქვს რა თავისი წვლილი ქვეყნის ეროვნული შემოსავლის შექმნაში, აქტიურად მონაწილეობს საერთო-სახალხო საკუთრების გამრავლებაში, ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში. თავის მხრივ სახელმწიფო სოფლის მეურნეობაში კაპიტალდაბანდებათა გაუწყვეტელი გადიდებით, მისთვის, ყოველმხრივი დამხმარებით განამტკიცებს სოფლის საერთო-სახალხო საკუთრებას, ხელს უწყობს საკოლმეურნეო საკუთრების დონის ამაღლებას, მის დაახლოებას საერთო-სახალხო საკუთრებასთან. ამავე დროს საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებათა სისტემის მეშვეობით, აგრეთვე სხვადასხვა სახელმწიფო-საკოლმეურნეო ობიექტების მშენებლობისა და ერთობლივი გამოყენების გზით მიმდინარეობს საკოლმეურნეო საკუთრების სრულყოფის, საერთო-სახალხო საკუთრებასთან მისი დაახლოების პროცესი. საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებათა სისტემა ახლა არსებითად ყველა კოლმეურნეობას. მოიცავს.

და კიდევ მრთი დასკვნა, სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განუხრელი ზრდა, ყველა მისი დარგის აღმურვა თანამედროვე ტექნიკით, ნიშნავს ახალ ეტაპს კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის წარმოების განვითარებაში, მისი ინდუსტრიალიზაციის ეტაპს. იგი იწვევს სოფლის მეურნეობის შემდგომ დაახლოებას მრეწველობასთან, ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის შექმნას ერთიან ინდუსტრიულ ბაზაზე. ამავე დროს იზრდება მუშათა კლასის ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობაში, მანქანური შრომის მუშაკთა ხვედრითი წონა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ინტელიგენციისა საზოგადოებრივი წარმოების ყველა უბანში, ფართოვდება სოფლის გარდაქმნის პროცესი.

ასეთია დასკვნები.

ეს დასკვნები მოწმობენ, რომ საკოლმეურნეო წყობილება, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა სოფლის მთელი ცხოვრება, კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკების წინაშე ახალ, ნათელ პერსპექტივებს სახავს. მათი შრომა სულ უფრო შესამჩნევად გადაიქცევა ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად. სულ უფრო იშლება ზღვარი გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის. სულ უფრო ენერგიულად და ფართოდ მიმდინარეობს მუშაობა, რომლის საბოლოო მიზანია ქალაქსა და სოფელს შორის სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო განსხვავების ლიკვიდაცია.

ყოველივე ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ ქვეყანაში, სადაც ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში!

ცხოვრება თვალსაჩინოდ ადასტურებს, თუ რაოდენ სწორია ლენინური პარტიის პოლიტიკა, XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მიერ დასახული ღონისძიებანი, რაოდენ მკაფიოა მისი კურსი — კომუნისტური საზოგადოების აშენების კურსი.

ამ პოლიტიკას, ამ კურსს შეესაბამება თავისი შინაარსით კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდებაც.

II. ახალი წესდება საკოლმეურნეო ცხოვრების კანონია კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში

სასოფლო-სამეურნეო არტელის იმ წესდების დიდმნიშვნელოვანმა პრინციპებმა, რომელიც

დ. ს. პოლიანსკის მოხსენების დასასრული

ახალი წესდება ხელს უწყობს კოლმეურნეობებში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას. ამ პრინციპის თანმიმდევრული გამოყენება შეესაბამება კოლმეურნეობათა სოციალურ-ეკონომიურ ბუნებას, ამაღლებს ყველა მათი საშეურნეო ქვიგანაყოფის დაინტერესებას წარმოების რენტაბელობით.

წესდების დიდმნიშვნელოვანი თავისებურებაა ის, რომ იგი ქმნის ორგანიზაციულ და სამართლებრივ წანამძღვრებს სოფლის მეურნეობაში განსაზოგადოების, წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის დონის ამაღლებისათვის, საერთასახალხო საკუთრებასთან საკოლმეურნეო საკუთრების შემდგომი დაახლოებისათვის.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ ზოგიერთი პრინციპული დებულება.

ᲧᲘᲠ ᲠᲝᲛᲚᲘ, წესდებაში აისახა ისეთი ახალი პროცესი, როგორიც არის საკოლმეურნეობათაშორისო და სახელმწიფო-საკოლმეურნეო სპეციალიზებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და გაერთიანებათა შექმნა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თანამედროვე პირობებში მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადასაწყვეტად ცალკეულ კოლმეურნეობათა შესაძლებლობანი უკვე საკმარისი აღარ არის. მაგრამ ის, რაც არ შეუძლია, ან ხელსაყრელი არ არის ერთი მეურნეობისათვის, სავსებით შესაძლებელი და ეკონომიურად ხელსაყრელია სხვა კოლმეურნეობებთან ან სახელმწიფო მეურნეობებთან მეცადინეობისა და სასრულის გაერთიანებით.

ასეთი გაერთიანება ნებაყოფლობით საწყისებზე საშუალებას გვაძლევს გადავჭრათ ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების სპეციალიზაციასთან. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელ დამხმარე საწარმოთა განვითარებასთან და მათი გასაღების ორგანიზაციასთან, პირუტყვის მოშენებასა და სუქებასთან, მშენებლობასა და იმ მასალების წარმოებასთან, რომლებიც საჭიროა სოფლის დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისათვის.

კოლმეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და ფულადი სახსრების, მათი მეცადინეობის ნებაყოფლობითი გაერთიანება ტენდენციად გარკვეული ამოცანების გადასაწყვეტად ნიშნავს არსებითად ახალ, პროგრესულ პროცესს სოფლის საწარმოო კოოპერირებაში. სიახლე ის არის, რომ კოოპერირება ხორციელდება არა წვრილი ინდივიდუალური მეურნეობების საფუძველზე, როგორც ეს პირველ ეტაპზე იყო, არამედ მსხვილი, გამძლავრებული კოლმეურნეობების ბაზაზე. ეკონომიური რესურსების გაერთიანება და კოლმეურნეობების სიმაგრე ცხოვრების სულ უფროსყოფა კანონზომიერი მოვლენაა; იგი ყოველმხრივი მხარდაჭერის ღირსია.

მᲔᲠᲕᲔ, წესდება განამტკიცებს კოლმეურნეობათა უფლებას განავითარონ დამხმარე საწარმოები და სარეწები. ისინი იმთავითვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სოფლის ცხოვრებაში. მათი არსებობა უწინარეს ყოვლისა გამოწვეული იყო ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური თავისებურებებით, მიწათმოქმედების სეზონური ხასიათით. ბევრი სოფლის მცხოვრები ახლაც საზოგადოებრივ წარმოებაში წელიწადში მხოლოდ რამდენიმე თვეს არის დასაქმებული, რაც, რა თქმა უნდა, არანორმალურია. ამ ბოლო დროს კოლმეურნეობებმა შესაძლებლობა მიიღეს შექმნან და ᲒᲛᲝᲜᲐ კიდეც სხვადასხვა საწარმოსა და სარეწო. მათ ხელი უნდა შეეწყოთ. მაშინ ისინი უკეთ გამოიყენებენ თავიანთ შრომითს რესურსებს და ადგილობრივ ნედლეულს, გამოუშვებენ მოსახლეობისათვის საჭირო პროდუქციას, აამაღლებენ საზოგადოებრივი წარმოების როლს კოლმეურნეთა შრომითს საქმიანობაში, მათს შემოსავალში.

მᲘᲡᲐᲛᲐ. წესდება ამკვიდრებს პრინციპულად ახალ მიდგომას ისეთი ძირეული პრობლემისადმი, როგორიც არის კოლმეურნეობებში საერთო პროდუქციისა და შემოსავლის განაწილება. შემოსავლის სწორი განაწილება წარმოების დონის ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. და წესდებაც ავალებს კოლმეურნეობებს მიაღწიონ დაგროვებისა და მოხმარების ეკონომიურად დასაბუთებულ შეხამებას, უზრუნველყონ საწარმოო, სადაზღვევო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ფონდების ზრდა, თანმიმდევრულად გამოიყენონ შრომის ანაზღაურების სოციალისტური პრინციპი.

ყოველმა კოლმეურნემ იცის, რომ წინათ შრომის ანაზღაურების ფონდი განუყოფელ და სხვა საზოგადოებრივ ფონდებში სახსრების გადარიცხვის შემდეგ დარჩენილ ნაშთს წარმოადგენდა. ასეთი წესის დროს, როგორც იტყვიან ხოლმე, ძღიეს გაკქონდათ თავი, ჯეროვნად ვერ ითვალისწინებდნენ მოხმარების ინტერესებს. ახლა კოლმეურნეობანი, უზრუნველყოფენ ოა თავიანთი საზოგადოებრივი ფონდების შესაბამის ზრდას, თვითეული კოლმეურნეს აძლევენ გარკვეული შემოსავლის გარანტიას, რომელიც შეესაბამება საკოლმეურნეო წარმოებაში მისი შრომის დანახარჯებს.

გარანტირებული ანაზღაურება, რომელსაც უკვე ახლა იყენებენ ყველგან, მნიშვნელოვნად ზრდის კოლმეურნეთა მატერიალურ დაინტერესებას საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებით. ამასთანავე, ძირითად ანაზღაურებასთან ერთად გათვალისწინებულია დამატებითი ანაზღაურება პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის. კოლმეურნენი სარგებლობენ აგრეთვე მოსმარების საზოგადოებრივი ფონდებით; ეს ფონდები ყოველწლიურად გაიზრდება.

დᲐ, ᲑᲝᲚᲝ, საბჭოთა სოფლის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიღწევაა კოლმეურნეთა პენსიით უზრუნველყოფის შემოღება. ეს ღონისძიება ეხება ათობით მილიონი ადამიანის საარსებო ინტერესებს. გარდა ამისა, მთელ რიგ მეურნეობებში უკვე დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, წესდება კოლმეურნეობებს უფლებას აძლევს თავიანთი სახსრებიდან კოლმეურნე-პენსიონერებს მისცენ დანიშნული პენსიების დანამატები, გამოპყონ სახსრები დასასვენებელი სახლების, საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო სანატორიუმების, ღრმად მოხუცთა და ინვალიდთა სახლების მშენებლობისათვის.

ყოველივე ეს თვითეულ პატიოსან მშრომელს უნერგავს რწმენას, რომ მოხუცებულობაში, აგრეთვე შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში იგი უზრუნველყოფილი იქნება. და ასეთი უზრუნველყოფა კოლმეურნეობების შემდგომი განმტკიცებისა და ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ზრდის კვალობაზე, სულ უფრო გაუმჯობესდება.

საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ახალი წესდება, აფართოებს რა კოლმეურნეთა უფლებებს, საიმედოდ უზრუნველყოფს მათს განხორციელებას. საქმე ეხება არა მარტო თვითეული მაგალის მიერ სამუშაოს მიღებას საზოგადოებრივ მეურნეობაში შრომის გარანტირებული ანაზღაურებით, არამედ დასვენებისა და სოციალური უზრუნველყოფის, კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საეკიალოების შეძენის, თავისი კოლეკტიური მეურნეობის საქმეების მართვაში აქტიური მონაწილეობის უფლებასაც.

მᲔᲥᲐᲒᲘᲪᲘᲗᲐ არ ესაჭიროება იმას, რომ მხოლოდ სოციალიზმის დროს, საზოგადოებრივ, კოლექტიურ მეურნეობაში შესაძლებელია ბედნიერად ცხოვრება ასეთი უფლებანი და შეიქმნას ასეთი პირობები შრომელი გლეხებისათვის.

საზოგადოებრივი მეურნეობა უკვე დიდი ხანია ასრულებს მთავარ, გადამწყვეტ როლს კოლმეურნეობის ᲧᲘᲠᲗᲐ მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში. ამასთანავე პირადი მეურნეობაც ჯერ კიდევ საჭიროა. წესდება უფლებას უნარჩუნებს კოლმეურნეებს იქონიონ ასეთი მეურნეობა; ეს არის მათი შემოსავლის დამატებითი წყარო.

ᲨᲔᲓᲔᲗ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმის შემდეგ კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობის დაუსაბუთებელი შეზღუდვები გაუქმდა. მათთვის გარანტირებულია საკარმიდამო მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლება, გათვალისწინებულია ამ ნაკვეთების დამუშავებაში, საკვების პირუტყვის უზრუნველყოფაში კოლმეურნეობის მხრივ დახმარების ღონისძიებანი. საკარმიდამო ნაკვეთების სიდიდე და პირუტყვის ყოლის ნორმები განსაზღვრება ადგილობრივი პირობების შესაბამისად და საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების სწორი შეხამების გათვალისწინებით.

დადგება დრო, როცა საზოგადოებრივი მეურნეობა ისეთ დონეს მიაღწევს, როცა კოლმეურნეები თვითონ იტყვიან უარს საკარმიდამო მეურნეობაზე, როგორც ეკონომიურად არახელსაყრელ და გამოუსადეგარ რამეზე. მაგრამ ახლა დაუსაბუთებელია მისი შეკვეცა. ამ პროცესის ხელოვნური დაჩქარება ნიშნავს ანგარიში არ გავუწიოთ სოფლის რეალური ცხოვრების ფაქტებს.

ასეთი წესდების ნიშნადობლივი თავისებურებაა აგრეთვე მისი მიმართულება საკოლმეურნეო დემოკრატიის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისაკენ. ეს განვითარება მიმდინარეობს ახლა ორი ძირითადი ხაზით. ერთი მხრივ მტკიცდება კოლმეურნეობათა სამეურნეო დამოუკიდებლობა, ფართოვდება იმ საკითხების წრე, რომლებსაც თვით კოლმეურნეები წყვეტენ. მეორე მხრივ — უმჯობესდება საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მათი მონაწილეობის ფორმები.

ანიჭებს რა გადამწყვეტ როლს ყველა საქმეში თვით კოლმეურნეებს, წესდება ითვალისწინებს, რომ მთავარი საკითხები კოლმეურნეობაში უნდა განიხილოს მისმა უმაღლესმა ორგანომ — საერთო კრებამ ან რწმუნებულთა კრებამ, იქ სადაც საერთო კრებების მოწვევა გაძნელებულია. საერთო კრებების გარდა უნდა ეწყობოდეს აგრეთვე ბრიგადების და სხვა ქვეგანაყოფების კრებები.

წესდება ხელს უწყობს კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა არჩევითობის პრინციპის შემდგომ განვითარებას. გამგეობის თავმჯდომარესა და წევრებს, როგორც ვიცით, ირჩევენ საერთო კრებებზე. მაგრამ ახლა ბრიგადირებიც, მეურნეობის სხვა ქვეგანაყოფთა ხელმძღვანელებიც უნდა აირჩიონ თავიანთ საწარმოო კოლექტივში. ყველა ისინი ანგარიშვალდებული არიან კოლექტივის წინაშე. კოლმეურნეებს შეუძლიათ ვადამდე გაიწვინონ არჩევითი ორგანოებიდან ან გაათავისუფლონ თანამდებობიდან ყოველი მუშაკი, რომელმაც ვერ გაამართლა ნდობა, თავი ვერ გაართვა მინდობილ საქმეს.

კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობაში დემოკრატიული საწყისების გაღრმავებასთან და კოლმეურნეობათა უფლებების გაფართოებასთან ერთად, წესდება განსაზღვრავს კოლმეურნეობის წევრთა მოვალეობებსაც, ხაზს უსვამს მათს მაღალ პასუხისმგებლობას თავიანთი შრომისა და კოლექტივის საქმეებისათვის, ითვალისწინებს ზემოქმედების ღონისძიებებს დისციპლინის და დადგენილი წესის დამრღვევთა მიმართ, არაკეთილსინდისიერ მუშაკთა მიმართ.

კოლმეურნეობა კომუნიზმის სკოლაა გლეხობისათვის. ახალი წესდებაც თვითეული თავისი მუხლით ადასტურებს ამას. იგი აშუქებს არა მარტო საწარმოო ამოცანების შინაარსს, არამედ კოლმეურნეობის აღმშრდელობითი ფუნქციების შინაარსსაც. იგი აღნიშნავს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სოფლის გარდაქმნა, მისი სახის შეცვლა, და ამავე დროს ხელს უწყობს კოლმეურნეთა ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურულ-ტექნიკური ღონის ამაღლებას. წესდება ყველა მათ აძლევს კოლმეურნეობის საქმეების მართვაში ფართო მონაწილეობის უფლებას. იგი მოუწოდებს ამრავლონ საზოგადოებრივი საკუთრება და იშრომონ კომუნისტურად, იბრძოლონ უკეთესი ცხოვრებისათვის.

ასეთია წესდების უმნიშვნელოვანესი დებულებანი და თავისებურებანი.

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

პრესაში გამოქვეყნებულმა ახალი საკოლმეურნეო წესდების პროექტმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. იგი განიხილეს კოლმეურნეობებში, რაიონულ კრებებზე, საოლქო და სამხარეო კონფერენციებზე, კოლმეურნეთა რესპუბლიკურ ყრილობებზე, მუშათა მრავალ კრებაზე, სახელმწიფო დაწესებულებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოლექტივებში. მხურვალედ გამოეხმაურნენ მას მეცნიერნი, პრესა, რადიო და ტელევიზია. ეს იყო ალსებითად საყოველთაო-სახალხო განხილვა; ამ განხილვაში ათობით მილიონი ადამიანი მონაწილეობდა.

მთლიანად წესდების პროექტი ერთსულოვნად მოიწონეს. ამასთანავე პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მინისტრთა საბჭოში, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებში, სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მოდიოდა ათასობით წერილი, რომლებშიც მოწონებასთან ერთად გამოთქმულია დამატებითი წინადადებანი და გარკვეული შენიშვნები. წესდების შემმუშავებელმა კომისიამ გულმოდგინედ შეისწავლა ისინი, და ყველაფერი, რაც მნიშვნელოვანი იყო, შეიტანა პროექტში.

ნება მიბოძეთ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით გულითადი მადლობა გადავუხადო ყველა ამხანაგს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ წესდების პროექტის განხილვაში და დიდი დახმარება გაუწიეს კომისიას მის მომზადებაში.

სანამ გაგაცნობდეთ შემოსულ წინადადებათა არსს, რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვა თვით წესდების სახელწოდების შესახებ.

გამოქვეყნებულ პროექტში დასახელება ორმაგი იყო, სახელდობრ — „ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ (ᲡᲡᲡᲠ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲐᲠᲢᲔᲚᲘᲡ) ᲡᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐᲨᲘ“. საჭიროა თუ არა ასეთი ორმაგი დასახელება?

ახლანდელი კოლმეურნეობები თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მსხვილი სოციალისტური საწარმოებია. მათში მუშაობს ასობით და ათასობით ადამიანი. ასეთ მეურნეობას არ შეიძლება არტელი ვუწოდოთ; წარსულში ეს სიტყვა ნიშნავდა მხოლოდ ადამიანთა ჯგუფის გაერთიანებას ერთობლივი მუშაობისათვის უმთავრესად ხელშეკრულებით. მოქმედ კანონმდებლობაში, სხვადასხვა პარტიულ და მთავრობის დოკუმენტში ახლა იყენებენ მხოლოდ ერთ სახელწოდებას — ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ. ამ სიტყვამ დიდი ხანია შეიძინა საერთაშორისო ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐ; ყველა ენაზე იგი ნიშნავს სწორედ სასოფლო-სამეურნეო, და არა რომელიმე სხვა, კოლექტიური საწარმოს.

კომისიას მიაჩნია, რომ უარი უნდა ვთქვათ წესდების ორმაგ დასახელებაზე. დოკუმენტს, რომლის განსახილველად აქ შეგიკრიბეთ, ექნება მოკლე და მკაფიო სახელწოდება — ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐ.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ წესდება, რომლის შინაარსი გამოხატავს კოლმეურნე გლეხობის მრავალმხრივი საქმიანობის ერთიანობას, ყველა კოლმეურნეობის საერთო მიზანს, ამავე დროს სიტყვით სანმაშუშ ხასს უსვამს, რომ მოწოდებულია გაითვალისწინოს თვითეული კოლმეურნეობის თავისებურებანი.

წინადადებანი წესდების შინაარსის გამო ბევრ საკითხს მოიცავენ. თვითეულ წინადადებაში იერძნობა ზრუნვა საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისათვის, სოფლის მეურნეობის აყვავებისათვის, ჩვენს ქვეყანაში მიწათმოქმედების და მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის. და ეს ეგანაურებს.

ნება მიბოძეთ მოკლედ მოგახსენოთ ზოგიერთი წინადადების არსი.

ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ. ისინი მეტად მრავალფეროვანია შინაარსით, მაგრამ ყველა ღირსია ყურადღებისა:

ა) გვირჩევენ წესდებაში ჩაიწეროს, რომ საზოგადოებრივი საკუთრება შეიძლება ეკუთვნოდეთ როგორც ცალკეულ კოლმეურნეობებს, ისევე საერთო საკუთრების უფლებით ორ ან რამდენიმე მეურნეობას, ან სახელმწიფოსა და კოლმეურნეობებს, შეუწყნარებელია კოლმეურნეობის ან კოლმეურნეობათა ჯგუფის ქონებისა და სახსრების გამოყენება წესდებით გაუთვალისწინებელი მიზნებისათვის;

ბ) გვირჩევენ წესდებაში აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობებმა უნდა დაიცვან სწორი თესლბრუნვა, გაუმჯობესონ მეთესლეობის საქმე, რაციონალურად გამოიყენონ სასუქების სისტემა და სხვ.;

გ) ბევრი ამხანაგი აღძრავს აგრეთვე საკითხს, რომ საჭიროა წესდებაში უფრო ვრცლად განისაზღვროს კოლმეურნეობის ამოცანები სოფლის კეთილმოწყობისა და კოლმეურნეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოშსახურების დარგში, მათ შორის აღნიშნოს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების კონკრეტული ღონისძიებებიც.

დ) მთელ რიგ წერილებში წამოყენებულია საკითხი, რომ კოლმეურნეობათა სახსრების ანგარიშში დაენიშნოთ პერსონალური პენსიები საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერანებს, სასოფლო-სამეურნეო არტელების პირველ ორგანიზატორებს, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საწარმოო ქვეგანაყოფების ხელმძღვანელებს ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის.

კომისიის აზრით, ყველა ჩამოთვლილი წინადადება სწორი და სასარგებლოა; ისინი უნდა ჩაიწეროს ახალ წესდებაში.

ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲯᲒᲣᲤᲘ. უწინარეს ყოვლისა არის წინადადება, რომ შეიქმნას საკოლმეურნეო ორგანოების სისტემა — თავიდან ბოლომდე. ბევრი ამხანაგი აკონკრეტებს ამ საკითხს და შემოაქვს წინადადება საკოლმეურნეო დემოკრატიის შემდგომი განვითარებისათვის რაიონებში, ოლქებსა და რესპუბლიკებში, აგრეთვე ცენტრში შეიქმნას კოლმეურნეობათა საბჭოები. ეს უნდა იყოს დემოკრატიული ორგანოები, რომლებშიც აირჩევენ კოლმეურნეობათა გამოცდილ თავმჯდომარეებს, მეურნეობის მოწინავეებს, სპეციალისტებსა და მეცნიერებს, სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან დაკავშირებულ უწყებათა, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს. საბჭოები განიხილავდნენ, კოლექტიურად ამსჯელებდნენ საკოლმეურნეო მშენებლობის ყველაზე დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, განაზოგადებდნენ წარმოების ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილებას, შეიმუშავებდნენ რეკომენდაციებს საზოგადოებრივი მეურნეობის რეზერვების რაც შეიძლება სრულად გამოყენებისათვის.

კომისიას მიაჩნია, რომ ეს წინადადება სერიოზული ყურადღების ღირსია და საჭიროა მისი განხილვა ჩვენს ყრილობაზე. თუ ყრილობა საჭიროდ მიიჩნევს კოლმეურნეობათა საბჭოების შექმნას, შეიძლება აქვე ავირჩიოთ საკავშირო საბჭო და შემდეგ მოვაწყოთ კოლმეურნეობათა რაიონული, საოლქო (სამხარეო) და რესპუბლიკური საბჭოების არჩევნები.

ფართოდ იყო განხილული აგრეთვე კოლმეურნეობის თავმჯდომარის, გამგეობის წევრებისა და სარევიზიო კომისიის არჩევნების წესის საკითხი. ზოგი ამხანაგი მხარს უჭერს ფარული კენჭისყრის შემოღებას, სხვები ღია კენჭისყრას ამჯობინებენ.

კომისიამ გაითვალისწინა აზრთა სხვაობა და გამოიტანა დასკვნა, რომ არჩევნების წესის, კენჭისყრის პირობების საკითხი თვითეულ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტონ თვით კოლმეურნეებმა. კოლმეურნეთა ეს უფლება უნდა ჩაიწეროს წესდებაში.

ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲔᲗᲣᲠᲔ ᲯᲒᲣᲤᲘ. აქ საქმე ეხება კოლმეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გაუმჯობესებას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღების მოწესრიგებას, სამედიცინო მომსახურებას, სოფლად ვაჭრობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარებას, სოფლის მეურნეობაში კარგად ორგანიზებული იურიდიული სამსახურის შექმნას. ბევრ წერილში გამოთქმულია აზრი, რომ შემოვიღოთ კოლმეურნეთა სოციალური დაზღვევის ერთიანი სისტემა, აგრეთვე კოლმეურნეები უფრო ფართოდ ჩაეგბათ პროფკავშირულ ორგანიზაციებში. მთელ რიგ ამხანაგებს საჭიროდ მიაჩნიათ, რომ წესდებაში აღინიშნოთ იყოს სამუშაო დროის ხანგრძლივობა და საზოგადოებრივ მეურნეობაში შრომითი მონაწილეობის მინიმუმი, დასვენების დღეებისა და ყოველწლიური შვებულების მიცემის წესი. კოლმეურნეობის თავმჯდომარეების, აგრონომებისა და სხვა სპეციალისტების შრომის ანაზღაურების ოდენობა.

ამგვარი საკითხები ბევრია. მაგრამ ზოგი, არსებითად სწორი, საკითხი საჭიროებს შესაბამისი ორგანოების მიერ ყურადღებით შესწავლას. ზოგი, ასევე საქმიანი საკითხია, მაგრამ ისინი უნდა გავითვალისწინოთ შინაგანაწესებში, რომლებსაც იღებს თვითეული კოლმეურნეობა, შრომის ანაზღაურების დებულებებში. ყოველივე ამის შეტანა წესდებაში ნიშნავს მის გართულებას. საკმაოა საჭირო იყოს ზედმეტი დეტალიზაცია.

რაც შეეხება კოლმეურნეთა სოციალურ დაზღვევას, ეს ფრიად დიდმნიშვნელოვანი საკითხი ღირსია, რომ გულდასმით განვიხილოთ უკვე ახლა.

და, ბოლოს, ᲧᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲔᲛᲗᲮᲔ ᲯᲒᲣᲤᲘ. ზოგიერთ მთაგანში გამოთქმულია სურვილი, რომ წესდებაში აღინიშნოს სხვადასხვა ფონდის ანარიცხების ოდენობა. რა თქმა უნდა, შემოსავლის განაწილებისას უნდა უზრუნველყოთ დაგროვებისა და მოხმარების სწორი შეხამება, საზოგადოებრივი ფონდების ზრდა, კოლმეურნეთა ცხოვრების დონის ამაღლება. მაგრამ ყოველივე ამის რეგლამენტირება სანმეშუშო წესდებაში, ქვეყნის ყველა კოლმეურნეობისათვის ანარიცხების ერთიანი ნორმების დადგენა ნიშნავს დაუბრუნდეთ ძველს.

წერილების ბევრი ავტორი აყენებს საკოლმეურნეო ბაზრებზე ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და იქ წესრიგის დამყარების საკითხს. მათი მოსაზრებანი ყურად უნდა იღონ შესაბამისმა უწყებებმა და გამოიტანონ პრაქტიკული დასკვნები. მაგრამ ვერ დავეთანხმებით იმათ აზრს, ვინც მოითხოვს შეიზღუდოს კოლმეურნეთა და კოლმეურნეობათა უფლებანი საკოლმეურნეო ბაზრებზე თავიანთი პროდუქციის ნამეტი რეალიზაციაში. ეს არა მარტო შელახავს მათს უფლებებს, არამედ გავლენას მოახდენს ახალი ბოსტნეულით, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებით ქალაქის მოსახლეობის მომარაგებაზე.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ წესდების შესახებ უამრავ წერილში ბევრია სარედაქციო ხასიათის შენიშვნა. ისინი არ ცვლიან აღძრული საკითხების არსს, მაგრამ ბევრ შემთხვევაში აუმჯობესებენ ტექსტს. ბევრი ეს შენიშვნა უკვე გათვალისწინებულია, ზოგი მიღებული იქნება ჩვენი ყრილობის მუშაობის პროცესში.

ასეთია ზოგიერთი, ყველაზე არსებითი წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც შემოვიდა ახალი წესდების — კომუნისტური მშენებლობის პერიოდში საკოლმეურნეო ცხოვრების კანონის განხილვის დროს.

საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ამ კანონით უნდა იხელმძღვანელონ არა მარტო კოლმეურნეებმა, არამედ მას ანგარიში უნდა გაუწიონ, კოლმეურნეობებთან ურთიერთობაში უნდა დაიცვან ყველა სხვა ორგანიზაციებმაც. მისი თანმიმდევრული განხორციელება საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცების, სოციალისტური სოფლის, მეურნეობის ყოველმხრივი აყვავების საწინდარია.

III. ᲛᲐᲦᲐᲚᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ-ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲐ

ამხანაგებო!

კომუნისტური საზოგადოების აშენების ისტორიულ პროცესში, მძლავრ მრეწველობასთან ერთად, უმნიშვნელოვანესი რგოლია ყოველმხრივ განვითარებული სოფლის მეურნეობა. ამ დარგის გადაქცევა მაღალპროდუქტიულ დარგად უმნიშვნელოვანესი საერთო-სახალხო ამოცანაა. ლენინი ამბობდა, რომ მტკიცე სასოფლო-სამეურნეო ბაზის გარეშე შეუძლებელია რაიმე სამეურნეო მშენებლობა (თხზ., ტ. 31, გვ. 621).

ახლა წარმოების ამ დარგში იქმნება ქვეყნის ეროვნული შემოსავლის მესამედზე მეტი. სოფლის მეურნეობის პროდუქტები და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულიდან წარმოებული სამრეწველო პროდუქტები სამი მეოთხედით აკმაყოფილებენ სახელმწიფოს მოთხოვნილებებს სახალხო მოხმარების საქონელზე. ამ ფაქტორების მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია.

პარტია და მთავრობა ზრუნავენ იმისათვის, რომ ყოველნაირად დაეჩქარონ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა, უზრუნველყონ მისი განვითარების ისეთი ტემპები და მისი ისეთი პროპორციები საზოგადოებრივ წარმოებაში, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამებიან ქვეყნის ინტერესებს.

ამ ამოცანას ვგვიანობს მეცნი ათობრა. მას განსაზღვრავს მოსახლეობისა და მისი შემოსავლის ზრდა, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტებზე მოთხოვნილების გაფართოება. იგი დაკავშირებულია სოციალისტური ინდუსტრიის განვითარებასთან, მის მოთხოვნილებებთან სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე. იგი გამოწვეულია ამ პროდუქტების რეზერვებისა და სადაზღვევო მარაგის გადიდების საჭიროებით. ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ მზარდი ეკონომიური ურთიერთობა სოციალისტურ და სხვა სახელმწიფოებთან.

საბჭოთა ქვეყანას ახლა ყველაფერი აქვს სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპების დასაჩქარებლად, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელახალი შეიარაღებისათვის თანამედროვე ტექნიკით მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მოთხოვნათა შესაბამისად. სოციალისტური წარმოების წესი, საზოგადოებრივი საკუთრების დამკვიდრება სოფლის საწარმოო ძალების აღმავლობის უფართოეს სარბიელს ქმნის. ამას ხელს შეუწყობს ახალი საკოლმეურნეო წესდებაც.

როგორია თანამედროვე პირობებში სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტის კონკრეტული გზები? ლ. ი. ბრეჟნევმა თავის გამოსვლაში ჩვენი ყრილობის ტრიბუნიდან ილაპარაკა ამაზე, იმ დიდ და რთულ პრობლემებზე, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ, ჩვენმა ხალხმა უნდა გადაჭრან სოფლის მეურნეობის დარგში. ეს პრობლემები იმდენად მრავალფეროვანია, რომ მათ უნდა დავუბრუნდეთ, ერთხელ კიდევ განვიხილოთ.

ჩვენი ამოცანა ის არის, რომ ᲑᲐᲜᲬᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲑᲐᲡ, ვაღწევდეთ მათს გაიაფებას, ვაუმჯობესებდეთ ხარისხს, სრულად ვაკმაყოფილებდეთ ქვეყნის მოთხოვნილებებს სოფლის მეურნეობის სულ სხვადასხვა პროდუქტებზე.

წარმატებით რომ შევასრულოთ ეს ამოცანა, უნდა ᲐᲛᲐᲦᲚᲝᲗᲗ ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ. ახლა, როცა სოფლის მეურნეობას ექმნება უფრო მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დიდად გაიზარდა იმის რეალური შესაძლებლობანი, რომ მიწათმოქმედება წარიმართოს მეცნიერების მონაცემებისა და მოწინავე პრაქტიკის საფუძველზე. ჩვენ ახლა ძალგვიძს წინანდელზე უფრო წარმატებით ვიბრძოლოთ უხვი და მტკიცე მოსავლისათვის ქვეყნის ყველა რაიონში.

ამ მხრივ უდიდესი როლი ეკუთვნის მიწების მელიორაციას. დიდი გვალვიანი ზონები, აგრეთვე ჭარბტენიანი რაიონები ამ ღონისძიებას უპირველეს სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობას ანიჭებენ. პრობლემის სიმწვავეს განაპირობებს ის, რომ ჩვენში ძალიან მცირეა ისეთი მიწების წილი, რომლებზეც განხორციელებულია სამელიორაციო სამუშაოები. სახელმწიფო ახლა დიდი მასშტაბებით აჩაღებს ამ სამუშაოებს, ებრძვის ნიადაგის ქარისმიერ და წყლისმიერ ეროზიას, უზრუნველყოფს სახსრებს ამმარს ამას. ეს სახსრები გონივრულად, ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ.

მ

კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობა

კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის სამდივნო

1. ავაზოვი მ. ო.
2. ავრამენკო ნ. მ.
3. ბაბაევა ნ. კ.
4. ბელანი ნ. ი.
5. გუსეინოვი მ. ჰ.
6. ვეგერაკი მ. ი.
7. ვოლოვჩენკო ი. პ.
8. ზინკოვსკაია ე. ტ.
9. იულდაშევა ნ.
10. კარლოვი ვ. ა.
11. კოზლოვა პ. ფ.
12. კოსტიშინი ი. მ.
13. კუროხტანოვი ნ. ნ.
14. მარცენიუკი ს. ი.
15. მარცუნი მ. ა.
16. მილიაკოვა ლ. კ.
17. ნიროვი ხ. მ.
18. ოჩერეტნი ბ. ვ.
19. პავლოვა ნ. ს.
20. პროზოროვა ნ. ა.
21. ჟურავსკი პ. ა.
22. სმირნოვი ტ. ე.
23. ტელეპნიოვი ს. ნ.
24. ფლორენტიევი ლ. ი.
25. შუმიკი ს. ი.

კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის საქართველოს სარედაქციო კომისია

1. ადომავიჩიუსი ვ. კ.
2. ალექსეევი პ. ფ.
3. ალიმატოვი ა.
4. ბაიდა ბ. ი.
5. ბიზუნოვი ს. ი.
6. ბაჯიევი მ. ბ.
7. დრუჟინინი ი. ბ.
8. დიაკოვი ბ. ე.
9. ვიშნიაკოვი ნ. ა.
10. ვოლოდკინი ნ. ვ.
11. ისაევი ვ. ფ.
12. კალჩენკო ნ. ტ.
13. კლოკოვი ნ. ს.
14. კოგელევი ვ. ა.
15. მიგალკინა ა. ბ.
16. მუკუკენოვა ე. ს.
17. პეტუხოვა კ. კ.
18. პიატნიცა ს. ე.
19. სოლოხა ი. ვ.
20. სტეპაკოვი ვ. ი.
21. სტოროჟევი ვ. ი.
22. სუვანდიი მ. დ.
23. სულთანოვა ო.
24. ტკაჩკოვა ა. ი.
25. ყუანიშბაევი მ.

კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის სამანდატო კომისია

1. ახმედოვი მ.
2. აშიმბაევი ნ.
3. ბაზუევა ფ. ნ.
4. ბოკოვი კ. უ.
5. ბურსიკოვა კ. მ.
6. დოვჟენკო ა. დ.
7. ერმურაკი ტ. მ.
8. ეშჩანოვა ს.
9. ვოზნი ო. ა.
10. ვოლკოვა მ. ვ.
11. ივანოვა ა. ი.
12. იუსუკალიევი ბ. ბ.
13. კლადოვა ა. ა.
14. კოზჩიკოვა ი. ა.
15. კულაკოვი თ. დ.
16. ლოგვინი ნ. პ.
17. ლოფალიევი ა. ლ.
18. მამაიაშვილი ნ. პ.
19. მიშაკოვა ვ. ფ.
20. ნედბალო კ. პ.
21. პერსისტი ა. ი.
22. პროკოპჩუკი ი. ლ.
23. პჩელნიკოვი ფ. ბ.
24. რალკო ვ. ა.
25. რეგიდა ი. ფ.
26. რიბნიკოვი ფ. ფ.
27. სტეპანოვა ბ. ა.
28. სტეპანოვა მ. ი.
29. შჩეკინა ა. პ.
30. შჩეტინინი ნ. ი.
31. ჩეკმაკი ფ. ვ.
32. ჩუმაკი ა. ვ.
33. ციერეტაროვა ს. ჟ.
34. ხალიავინი ს. ი.
35. ხვან მან-გიმი

მიფრინავს „კოსმოს-311“ და „კოსმოს-312“

1969 წლის 24 ნოემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-311“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკავშირო გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

1969 წლის 24 ნოემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-312“.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

მუშათა კლასთან კავშირით — ლენინური გზით

კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა... იგი სამშობლოს მატიანეში შევა როგორც დიდი მოვლენა კოლმეურნე გლეხობის, მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, როგორც ლენინური კოოპერაციული გეგმის გამარჯვების მკაფიო დადასტურება. კომუნისტურმა პარტიამ, ახორციელებს რა ვ. ი. ლენინის ანდერძს, მოახდინა სოფლის მეურნეობის ძირეული შემობრუნება წვრილი, დაქსაქსული სოფლის მეურნეობიდან კოლექტიური, სოციალისტური მეურნეობისაკენ და მტკიცედ მიუძღვის ჩვენს გლეხობას მუშათა კლასთან ერთად, მთელ ხალხთან ერთად ლენინური კურსით — კომუნიზმისაკენ.

ნახევარი საუკუნის წინათ, სამეწარმოქმედო კომუნებისა და საბჭოთა-სამეურნეო არტელების პირველ ყრილობაზე ვლადიმერ ილიას-ძემ თქვა: **„თქვენ, რა თქმა უნდა, ყველამ იცით საბჭოთა ხელისუფლების მთელი მოღვაწეობიდან, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ვაძლევთ კომუნებს, არტელებსა და სხვადასხვა ყველგვარ ორგანიზაციებს, რომლებიც მომართული არიან იქითკენ, რომ წვრილი ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა გარდაიქმნას... საზოგადოებრივ, საამხანაგო ანუ საარტელო მეურნეობად...**

ყველა ამგვარ წამოწყებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, იმიტომ რომ წინანდელი, ღარიბული, ლატაკური, გლეხური მეურნეობა ძველებურად რომ დარჩენილიყო, მაშინ ლაპარაკიც კი შეუძლებელი იქნებოდა რაიმე მკვიდრი სოციალისტური საზოგადოების აგებაზე“.

განვლილი 50 წლის მანძილზე მცირერიცხოვანი პატარა უკრიდებიდან სამეწარმოქმედო კომუნები და სასოფლო-სამეურნეო არტელები გაიზარდნენ მძლავრ მრავალდარგოვან, მაღალმექანიზებულ კოლექტიურ მეურნეობებად. ახლა ჩვენს ქვეყანაში თითქმის 36 ათასი კოლმეურნეობაა.

25 ნოემბერს კრემლმა სტუმართმოყვარულად მიიღო მრავალმილიონიანი კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა სამშობლოს ყველა ხალხის წარმომადგენლები. კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატები განიხილავენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების საარსებო პრობლემებს, მიიღებენ კოლმეურნეობის ახალ სანიმუშო წესდებას, რომელიც შეესაბამება დროის სულისკვეთებას, კომუნისტური მშენებლობის მოცანებს.

მტკიცე და ურღვევი მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი. სულ უფრო მეტად იშლება ზღვარი ქალაქსა და სოფელს შორის, მრეწველობისა და მეცნიერების განვითარების მაღალი დონე აქტიურ და სულ უფრო შესამჩნევ გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობაზე. საბჭოთა სინამდვილის ამ და სხვა ისტორიულმა პროცესებმა წესდების — საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონის განახლების საჭიროება წარმოშვეს.

აქ შეიკრიბა 4.500-ზე მეტი კაცი — ყრილობის დელეგატები. თვითეულს დიდი გამოცდილება აქვს. აქ არიან გაჯადარავებული ვეტერანებიც და სოფლის ახალგაზრდობაც — საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანები, მაწარმოებლებისა და მეცხოველეობის ოსტატები. აქ არიან კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ბრიგადირები, აგრონომები, მექანიზატორები, რიგითი კოლმეურნეები. ბევრ მათგანს ჯილდოები აქვს თავდადებული შრომისათვის — ორდენები და მედლები, სოციალისტური შრომის გმირთა ვარსკვლავები.

დელეგატები კრემლში მოდიოდნენ წითელი მოედნით. ისინი ფიქრთა და გულით ივყენენ ლენინთან — პროლეტარული რევოლუციის ბელადთან, მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა ხელმწიფის ხელმძღვანელთან. მომავალი წლის აპრილში ჩვენი ხალხი, მთელი მოწინავე კაცობრობა აღნიშნავენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. ამ ღირსშესანიშნავი თარიღის წინ მოსკოვში შეიკრიბა კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა. კრემლში. ყრილობაზე მოვიდნენ ისინი, ვინც იდგა საკოლმეურნეო მოძრაობის სათავეებთან, ისინი, ვინც შრომობდა მინდვრებში ომის მრისხანე წლებში, აკითარებდა და განამტკიცებდა საარტელო მეურნეობას ომისშემდგომ წლებში, და ახალგაზრდა თაობაც — ისინი, ვინც დღეს მიიღო მამათა ესტაფეტა. სამშობლომ სოფლის მშრომელები აღჭურვა მოწინავე ტექნიკით, მათ იმსახურება მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების უახლესი მიღწევები.

სკკპ XXIII ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებმა კოლმეურნეობებს შეუსაძლებლობა მისცეს ახალ ხათეხურზე აეყვანათ წარმოება. ყრილობის თვითეული დელეგატი და სტუმარი უზარ მოსავლისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების საუხვისათვის აქტიური მებრძოლია. კოლმეურნე გლეხობის შრომა ჩვენს ქვეყანაში გარემოსილია საყოველთაო-სახალხო პატივით.

...კრემლის ყრილობათა სასახლე. დილის 10 საათი. დელეგატები და სტუმრები ტულუმბოდან ხედებიან ამხანაგებს **ლ. ი. ბრეჟნევს, ნ. ი. პოდგორნოვს, ა. ვ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ნ. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნოვს, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, პ. ე. შელესტს.**

ყრილობა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საკოლმეურნეო მოძრაობის ვეტერანმა, კოლმეურნეთა მეორე და ახალგაზრდა. მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატმა სოციალისტური შრომის გმირმა **ტ. ს. მალცევმა.**

— იყო კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატი — ეს დიდი ნდობაა, — თქვა მან. მაგონდება დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა, რომლის დელეგატიც ვიყავი, როცა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით საფუძველს ვუყრიდით საკოლმეურნეო წყობილებას, ისსებითად მხოლოდ მაშინ ვიწყებდით ახალ ცხოვრებას, რომელიც ემყარებოდა მეურნეობის კოლექტიურ ვაძღოლას, საზოგადოებრივ შრომას. მას შემდეგ უდიდესი გარდაქმნები მოხდა არა მარტო ჩვენს კოლმეურნეობებში, არამედ მთელ საბჭოთა ქვეყანაში. ახლა სულ სხვაა კოლმეურნეობები, სულ სხვაა სოფელი, სულ სხვაა თვით კოლმეურნე. ეს კარგად ჩანს ჩვენი მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატთა შემადგენლობით.

რა იყო ყველა ამ გარდაქმნის საფუძველი? უწინარეს ყოვლისა სწორი პოლიტიკა ჩვენი პარტიისა, რომელიც დაუცხრომლად ზრუნავს კოლმეურნეობების განვითარებისათვის, თანმიმდევრულად და ბეჯითად ახორციელებს ლენინის იდეებსა და ანდერძს სოფლის მეურნეობის გარდაქმნის შესახებ. განსაკუთრებით დიდი ძვრები მოხდა ამ ბოლო წლებში პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ცხოველ გადაწყვეტილებათა შემდეგ. ამ ლენინური პოლიტიკისათვის, კოლმეურნე გლეხობაზე ამ დაუცხრომელი ზრუნვისათვის მადლობას ეუძღვნით ჩვენს კომუნისტურ პარტიას.

უდიდესი გარდაქმნები საბჭოთა სოფელში შესაძლებელი გახდა აგრეთვე იმ დახმარების მეოხებით, რომელსაც კოლმეურნე გლეხობას უწევდა და უწევს ჩვენი მუშათა კლასი. მუშათა კლასის, მეცნიერთა, მთელი საბჭოთა ინტელიგენციის მეცადინეობის მეოხებით ახლა გვაქვს მრავალფეროვანი და სრულყოფილი მანქანები და მოწყობილობა, რომლებმაც ძირეულად შეცვალეს შრომის ხასიათი და გლეხობის ცხოვრების მთელი წყობა.

ჩვენ ამ დიდებულ სასახლეში შევიკრიბეთ ძალიან დიდმნიშვნელოვანი საქმის გამო, განაგრძო ტ. ს. მალცევმა. ჩვენ უნდა გამოვიქვათ მილიონობით კოლმეურნის აზრი და მივიღოთ კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდება, ამ წესდების პროექტი. როგორც მოგეხსენებათ, მოამზადა კომისიამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის თავმჯდომარეობით. შემდეგ პროექტი ფართოდ განიხილეს კოლმეურნეობებში, რაიონებში, ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში, აგრეთვე პრესაში. ახლა ახალი სანიმუშო წესდების პროექტი გამოგვაქვს კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო ყრილობის განსახილველად.

ორატორმა თქვა, რომ არჩევნების დებულების შესაბამისად ყრილობაზე არჩეულია 4.541 დელეგატი. ჩამოვიდა 4.521 დელეგატი. საპატიო მიზეზით ვერ ჩამოვიდა 20 კაცი. ამრიგად, ყრილობას ესწრება არჩეულ დელეგატთა აბსოლუტური უმრავლესობა.

— კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების შემმუშავებელი და კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის მოსამზადებელი კომისიის დავალებით, თქვა ტ. ს. მალცევმა, — აგრეთვე დელეგაციათა წარმომადგენლების თათბირის დავალებით, ნება მიბოძეთ, კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა გახსნილად გამოვაცხადო.

დარბაზში ეღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

ყრილობის პრეზიდიუმის შემადგენლობის შესახებ წინადადებათა სათვის სიტყვა ეძლევა მოსკოვის ოლქის გორკის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, სოციალისტური შრომის გმირს **ვ. ფ. ისაევს.** სანამ ყრილობის პრეზიდიუმის შემადგენლობას დასახელებდა, მან დელეგაციების წარმომადგენელთა თათბირის დავალებით წინადადება შეიტანა გადაწყვეტილ ხმის უფლება მიეცეს კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების შემმუშავებელი და კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის მოსამზადებელი კომისიის ყველა წევრს. კომისიისა, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი მეთაურობს და, რომელმაც დიდი ნაყოფიერი მუშაობა გასწია.

ამ წინადადებას დელეგატები ერთხმად ტაშის გრიალში იღებენ. შემდეგ დელეგაციების წარმომადგენელთა თათბირის დავალებით ვ. ფ. ისაევს წინადადება შეაქვს კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის პრეზიდიუმი აირჩიონ 96 კაცის შემადგენლობით.

ერთსულოვნად ირჩევენ პრეზიდიუმის შემადგენლობას, რომელშიც შევიდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, პ. ე. შელესტი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. ა. კუნაევი, ჰ. მ. მაშეროვი, ვ. პ. მჟავანაძე, შ. რ. რაშიდოვი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ვ. შჩერბიცკა, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომაროვი, მ. ს. სოლომენცევი, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა, მხარეებისა და ოლქების, ავტონომიური რესპუბლიკებ ი ს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ბრიგადირები, მერგოლეურები, საკოლმეურნეო მშენებლები, მეცხოველენი, მეცნიერები, კომკავშირული მუშაკები, კულტურის მოღვაწენი.

დარბაზის ტაშის გრიალში პრეზიდიუმის წევრები იკავებენ ადგილებს პრეზიდიუმში.

დილის სხდომის თავმჯდომარედ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ნ. კოსიგინმა** განაცხადა, რომ ყრილობაზე ჩამოვიდნენ მთელი რიგი ქვეყნების დელეგაციები: ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა — ცენტრალური საკოოპერაციო კავშირის თავმჯდომარის სტოიან სიულემეზოვის მეთაურობით, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილის გაბორ შოოშის მეთაურობით. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და გადასამუშავებელი მრეწველობის საბჭოს თავმჯდომარის გეორგ ეკელდის მეთაურობით, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა — სოფლის მეურნეობის კომიტეტის თავმჯდომარის კიმ მან გიმის მეთაურობით, კუბის რესპუბლიკისა — მიწათმოქმედთა ეროვნული ასოციაციის თავმჯდომარის ხოსე კრუსის მეთაურობით, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა — სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებათა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ლოდონგიინ რინჩინის მეთაურობით, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — სოფლის მეურნეობის მინისტრის მეჩისლავ იაგელსკის მეთაურობით, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისა — სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების ეროვნული კავშირის თავმჯდომარის ვასილე გილკუს მეთაურობით, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა — სოფლის მეურნეობისა და სურსათის ფედერალური კომიტეტის თავმჯდომარის კოლომან ბოდიას მეთაურობით, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა — სახალხო მეურნეობის საკავშირო მდივნის მოადგილის ლუკა პეტროვიჩის მეთაურობით, გვინეის რესპუბლიკისა — ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სახელმწიფო სამდივნოს კაბინეტის დირექტორის სეკ უმარის მეთაურობით, ერაყის რესპუბლიკისა — აგრარული რეფორმის მინისტრის მოადგილის აფიფ-არ-რაუის მეთაურობით, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა — სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინსპექციის დეპარტამენტის გენერალური დირექტორის ნასერ ალ-ჰასენეინის მეთაურობით, სირიის არაბთა რესპუბლიკისა — სოფლის მეურნეობისა და აგრარული რეფორმების მინისტრის მოჰამედ საიდ თალების მეთაურობით, სუდანის რესპუბლიკისა — გლეხთა კავშირის ხელმძღვანელის აბდელ-ელ დირდირის მეთაურობით, იტალიისა — იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის ჯერარდო კიარომონტის მეთაურობით, ფინეთისა — ცენტრის პარტიის გამგეობის ცენტრალური კომიტეტისა და მუშათა კომისიის წევრის ვიინე რანკილის მეთაურობით. საფრანგეთისა — გლეხთა მეურნეობების დაცვის მოძრაობის გენერალური მდივნის რაიმონ მინოს მეთაურობით.

დელეგატები გულთბილად, ხანგრძლივი ტაშით მიესალმებიან თვითეულ დელეგაციას.

— მადლობელი ვართ ჩვენთან ჩამოსული ო�ეული სტუმრებისა, — თქვა ამხანაგმა ა. ნ. კოსიგინმა. — ყურადღებისათვის, რომელიც მთ გამოიჩინეს კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობისადმი. როგორც თვალსაჩინო მოვლენისადმი ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ - პ ო ლ ი ტ ი კ ურ ცხოვრებაში.

ეს უწინარეს ყოვლისა მიგვაჩნია იმ დიდი ისტორიული გამოცდილების აღიარებად, რომელიც საბჭოთა კავშირმა შეიძინა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საქმეში, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის კოოპერაციული გეგმის იდეის პრაქტიკულად განხორციელებაში. რომელმაც სოფლების მშრომელთა მრავალმილიონიან მასებს დაუსახა გზა სიღატაკედან და ჩამორჩენილობიდან სინათლისა და პროგრესისაკენ.

ეს აგრეთვე მიგვაჩნია საბჭოთა კოლმეურნე გლეხობის უდიდესი დამსახურების აღიარებად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალიზმის საწყისებზე მთელი ცხოვრების გარდაქმნაში, მოწინავე სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში.

ნება მიბოძეთ კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის პრეზიდიუმის სახელით, ყრილობის ყველა დელეგატის სახელით გულთბადად მივესალმო აქ დამსწრე პატივცემულ საზღვარგარეთელ სტუმრებს.

— ამ ნინადადებას ერთხმად, ერთსულოვნად ამტკიცებ ენ, — ამ ნინადადებას ერთხმად, ერთსულოვნად ამტკიცებ